ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუსუდან კაშია

ვაჭრობა და ვაჭართა ფენა დასავლეთ საქართველოში (XVII-XVIII სს)

ქუთაისი
2005

ნაშრომში, ისტორიულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია XVII-XVIIIსს. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სავაჭრო, ფულად-სასაქონლო პროცესები. XVIII ს. II ნახევარში საქართველოში იქმნება ერთიანი ეროვნული ბაზარი. დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში შეიმჩნევა ფეოდალური ურთიერთობების რღვევის ნიშნები.

ნაშრომის დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია საერთაშორისო და რესპუბლიკურ ჟურნალებში.

რედაქტორი: **ედიშერ ხოშტარია (ბროსე)**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **მიხეილ სამსონაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

ლელა მიქიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

დავით შავიანიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ISBN 99928-79-84-3
გამომცემლობა
„ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

© რ.კაშია

შესავალი

მე-17 საუკუნეში წვრილ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული დასავლეთი საქართველო ოსმალეთის ვასალია. შავი ზღვა ძირითადად თურქების ხელშია მოქცეული და მას ოსმალეთის შიდა ტბას უწოდებენ. საქართველო დიდი ხნით მთლიანად ჩამოცილდა გარე სამყაროს.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, თუმცა შინაგან დამოუკიდებლობას გაჭირვებით ინარჩუნებდნენ, ფაქტიურად მთლიანად დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ ოსმალეთზე. როცა მე-17 საუკუნის დასაწყისში ოსმალებმა ბლოკადა მოუწყვეს გურიასა და სამეგრელოს და შეუწყვიტეს მარილისა და რკინის შემოზიდვა, ორივე სამთავრო იძულებული გახდა, ეთხოვა ზავი. უდაოა, რომ საზავო პირობები სამთავროებისათვის მეტად მძიმე უნდა ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები თურქებს ხარკის სახით უხდიდნენ ფულად გადასახადს (იმერეთი იხდიდა სამას ქესას, რაც 90 000 მანეთს უდრიდა), ასეულობით არშინ ტილოსა და რაც მთავარია, მეფე-მთავრები ხელს ვერ უშლიდნენ ტყვეებით მოვაჭრეებს (მ. რეხვიაშვილი, თბ. 1989, გვ. 179).

ტყვის მსყიდველი ავაზაკები ღამე თავს ესხმოდნენ მეზობლის სახლს, შებოჭავდნენ, ვისაც შინ მოიხელთებდნენ და ქობულეთის მონათა ბაზარზე გააქანებდნენ. ტყვის მსყიდველ მებატონეებს ჰყავდათ სპეციალურად შერჩეული კაცები, აგენტები, რომლებიც ლამაზი ქალ-ვაჟების ძებნითა და მოტაცებით იყვნენ დაკავებული, მათ სამეგრელოში „ყურსალებს“ ეძახდნენ, ხალხური განმარტებით ყურსალი ეწოდებოდა კაცის ქურდს (ა. კილასონია, 1982, გვ. 109).

ლევან II დადიანის სახელს უკავშირდება ტყვეებისადმი დამოკიდებულებაში სრულიად ახალი ურთიერთობის დამკვიდრება – როცა მან (1623 წ.) ტყვედ ჩავარდნილ იმერლებს თავი ფულის გადახდით

დაასხნევინა, რის შემდეგაც ეს მოვლენა ფართოდ გავრცელდა და ფულის შოვნის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად იქცა.

1646 წელს დადიანნა, იმერეთზე მორიგი შესევის დროს, გადაწვა ქ. ჩიხორი, დაანგრია ქ. ჩხარი, აქედან მოლიანად აყარა სომეხი და ებრაელი მოსახლეობა, რომლებიც ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ და ჩაასახლა სამეგრელოში, რუხში, რომელიც ამის შემდეგ ცხოველი სავაჭრო ურთიერთობის ადგილად იქცა, სადაც ძირითადად „იყიდებოდა ტილო და ირანული შალი“ (არქანჯელო ლამბერტი, 1938, გვ. 156).

ლევან დადიანის პოლიტიკა მიმართული იყო სამეგრელოს სამთავროს გაძლიერებისაკენ, იგი ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა ფულის შოვნას, ხელს უწყობდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისა და ვაჭრობის წინსვლას. მეზობლებზე მძარცველური, მარბიელი თავდასხმების შედეგად, შეძლო კიდეკაც ოდიშში სავაჭრო-საბაზრო ურთიერთობების გამოცოცხლება.

მარცხით დამთავრდა ლევან დადიანის მიერ ევროპაში სავაჭრო გზების ძიება.

ამდენად, მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოში გამეფებულია სრული პოლიტიკური ქაოსი და შიდა აშლილობა. ჩამკვდარია ეკონომიკური ცხოვრება, ძნელია საუბარი ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე, ფულის შოვნისა და აუცილებელი პროდუქციის შეძენის ძირითად საშუალებად გაყიდული ტყვე რჩებოდა.

XVIII ს. I ნახევარში დასავლეთ საქართველო განიცდიდა ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კრიზისს. გაძლიერდა სათავადო სისტემა. სამეფო ხელისუფლების დაუძლურების გამო შეუძლებელი იყო ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის განახლებაალდგენა. (ნ. ჯაველიძე, 1989, გვ. 75). „ქვეყანა გაუთავებელმა ბრძოლებმა მოიცვა, შეწყდა ვაჭრობა, მინელდა შრომა, გამეფდა შიში, შიმშილი და სიღატაკე, აიყარა

ყმა-გლეხობა და ყაჩაღობას მიჰყო ხელი“ (შ. ბერჯანაძე, 1950, გვ.77).

XVIII ს. შუა წლებში (1752-84) იმერეთის ტახტზე ავიდა ახალგაზრდა ენერგიული მეფე სოლომონ I. მისი მეფედ კურთხევის დროს დასავლეთ საქართველოში სრული პოლიტიკური ქაოსი სუფევდა.

სოლომონმა მტკიცე ხელით ალაგმა ურჩ თავადთა და მოწინააღმდეგეთა დაჯგუფებები. ღალატისათვის არ დაინდო საკუთარი ბაბუა და დედაც კი. სასტიკად გაუსწორდა რაჭის გაძლიერებულ საერისთაოს. ოდიშისა და გურიის მთავრებს თავისი მოქმედებით შეახსენა, რომ ისინი იმერეთის მეფეს ექვემდებარებოდნენ. აიკრძალა ტყვეთა სყიდვა.

წინდახედული პოლიტიკოსისა და სახელოვანი სარდლის სოლომონ მეფის გონიერულმა და ენერგიულმა საქმიანობამ მალე გამოიღო შედეგი. გამოცოცხლდა ეკონომიკა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის გაცხოველდა საბაზრო კავშირები. გაიზარდა ქალაქების როლი. ტყვეთა სყიდვის შემცირებით თანდათან წინა პლანზე იწევდა ფულისა და სასაქონლო-საბაზრო ურთიერთობების საჭიროება.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთი შინააშლილობამ და ტახტის მაძიებელთა შორის გამართულმა წინააღდეგობებმა მოიცვა, რამაც იმერეთის მოწინავე საზოგადოებასა და არისტოკრატიულ ელიტას აფიქრებინა იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთთან შეერთების აუცილებლობა. სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი იდეა ვერ განხორციელდა.

სოლომონ II-მ ტახტზე ასვლისთანავე მიზნად დაისახა, აღედგინა სოლომონ I-ის საშინაო პოლიტიკა; ტახტის დაკავება მან ბრძოლით შეძლო. სოლომონ II-ს მეფობა მეტად რთულ პირობებში მოუხდა. დიდი იყო წინააღმდეგობა სამეგრელოს მთავართან, რომელიც იმერეთის მეფისადმი დაქვემდებარებას არჩევდა, უცხო ქვეყნის მფარველობაში შესულიყო.

XVIII ს-ის ბოლოს რუსეთის იმპერიამ აშკარად გამოაჩინა თავისი ნამდვილი მიზნები, მიმართული კავკასიაში გაბატონებისაკენ. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მოსპო ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობა და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის გუბერნიად აქცია.

1810 წელს იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა. სამეფოს ბედი მალევე მთლიანად გაიზიარეს დასავლეთ საქართველოს სამთავროებმა. რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცეულ ქუთაისის გუბერნიაში უზარმაზარი იმპერიისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობდა.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შემდგომმა განვითარებამ დააჩქარა ფეოდალიზმის რღვევის ის საწყისი პროცესები, რასაც ადგილი ჰქონდა XVIII-ის II ნახევრის საქართველოში.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობები XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში

ტყვეთა სყიდვა

XVII საუკუნეში უდიდესი მასშტაბები მიიღო ტყვეებით ვაჭრობამ. ტყვეთა სყიდვა, ცხადია, წმინდა სოციალური მოვლენაა, მაგრამ XVII ს-ში ტყვემ „საქონლის“ სახე მიიღო. „ტყვე დასავლეთ საქართველოში თანდათან უმთავრესი საქონელი გახდა. ტყვეებში ამოგებული ფულით იძენდნენ იარაღს, სამკაულს, ტანისამოსს, ისტუმრებდნენ სამეფო თუ სამთავრო ხარჯებს, იხდიდნენ სახონთქრო ხარკს, იძლეოდნენ ქრთამს“ (მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 407), ამიტომ მოვლენას განვიხილავთ ფულად-სასაქონლო ურთიერთობების თვალთახედვიდან.

ტყვეთა სყიდვის გავრცელება ოსმალეთის იმპერიის მიერ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამორჩილების შედეგი იყო. ოსმალეთი პირდაპირ მოითხოვდა ადამიანებით ვაჭრობას. პირველი მოხმარების ბევრი საგნის შეძენა ქართველებს მხოლოდ იმ თურქულ ხომალდებზე შეეძლოთ, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროებს მოადგებოდნენ, თურქები კი ნივთებს მხოლოდ ტყვეებში ცვლიდნენ. ასე მოედო დასავლეთ საქართველოს ეს საზარელი სოციალური სენი.

უცხოელი მოგზაურები და მისიონერები აღწერენ იმ ზნეობრივ დაკნინებას, რაც ეკონომიკური ცხოვრების კატასტროფამ მოიტანა. ტყვეებით ვაჭრობდნენ ეკლესიის მსახურნი, ზოგიერთი კათალიკოსიც კი. ფეოდალებისათვის მეზობლების დარბევა და მათი ყმების გაყიდვა ცხოვრების ნორმად იქცა. ყიდიდნენ საკუთარ ყმა-გლეხებსაც. თვით მეფე-მთავრები ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, ტყვეებით ვაჭრობისათვის ხელი შეეწყოთ. სათურქო ხარკი სხვა მოთხოვნებთან ერთად

ცოცხალ ადამიანებსაც ითვალისწინებდა. ოსმალეთი მტკივნეულად რეაგირებდა, როცა ქართული ხელისუფლება ცდილობდა, რაიმე ზომები მიეღო ამ გამაჩანაგებელი საშინელების წინააღმდეგ.

მარტო სამეგრელოდან XVII ს. შუა ხანებისათვის ყოველწლიურად ორი-სამი ათასი ტყვე იყიდებოდა (ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, 1964, გვ. 119).

ჟან შარდენის ცნობით, სამეგრელოდან ყოველ წელს სამი ათასი ტყვე გაჰყავდათ ოსმალეთში. ეაჟები იანიჩართა ჯარის რიგებს ავსებდნენ, ხოლო ლამაზი ქალებით თურქული ჰარამხანები ივსებოდა. ასაკოვანი ქართველები კი მონებად იყიდებოდნენ (ჟან შარდენი, 1975).

თანამემამულეთა მოტაცებაში, ლამაზი ქალ-ვაჟების დაზვერვასა და თურქეთში გაყიდვაში მონაწილეობდნენ ყურსალები – გაყაჩაღებული გლეხები.

ფეოდალები თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო უცხო საქონელს ტყვეებზე გადაცვლით იძენდნენ.

ფრანგი კომერსანტი, იუველირი ტავერნიე, რომელმაც XVII ს-ის 30-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, აღწერს რა გაუთავებელ შინაომებს დასავლეთ საქართველოში, გადმოგვცემს, რომ ტყვეები მიჰყავთ ან გასაყიდად ან „მეწვრილმანეებთან ბაფთებსა, ტილოს ნაჭრებსა თუ სხვა ამგვარ ნივთებზე გადასაცვლელად... ქალებისა და კაცების გაყიდვა ისეთ საზოგადო ჩვეულებად არის გადაქცეული ამ ქვეყანაში, რომ ის შეადგენს მათი ვაჭრობის უდიდეს საგანს და სწარმოებს თითქმის ყოველ უბრალო შემთხვევის გამო“ (ჟან ბატისტ ტავერნიე, 1974, გვ. 199, 201).

ჟან შარდენის გადმოცემით, მის გემზე ორმოცი ტყვე იყო: „კაპიტანი, თურქი და ქრისტიანი ვაჭრები მათ ცვლიდნენ იარაღზე, მრავალგვარ წვრილმანებსა და სხვა საქონელზე“ (იქვე, გვ. 211).

იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის მონათხრობით, ოდიშელმა თავადმა ჭილაძემ მღვდლები

დაიჭირა, გაყიდა და შეიძინა თურქებისაგან „საქონელი, რომელიც სახლში სჭირდებოდა“. ლამბერტი გადმოგვცემს, რომ „ქობულეთში... მოდის მრავალი თურქი ვაჭარი, მათ მოაქვთ ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს, თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ“ (არქანჯელო ლამბერტი, 1937, გვ. 76, 161).

სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ახალციხეში ტყვე იყიდებოდა „ტყვის ადგილზე მიყვანიდან სამი თვის შემდეგ. სამი თვე ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ ტყვეს პატრონი გამოუჩნდებოდა... ტყვის ფასი ვაჭრობით და მორიგებით დგინდებოდა" (მ. რეხვიაშვილი, 1982, გვ. 315).

ტყვეების გამოსასყიდი ფასი საკმაოდ დიდი იყო: „სამეგრელოს ბეგის ბიძაშვილმა ასი ტყვე, ათასი სული საქონელი, მრავალი საპანე ოქროს ქსოვილი, მრავალი საპანე ფარჩა მისცა და თავი გამოისყიდა“ (ე. ჩელები, 1971, გვ. 332).

სოლომონ I-ის მიერ 1959 წელს მოწვეულმა საეკლესიო კრებამ აკრძალა ტყვეთა სყიდვა და შეაჩვენა ტყვის მსყიდველი: „ახალციხის ფაშამ შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო, ახლა ამაზედ ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია... რომ სანამდის სული გვედგას, ეს საქმე არ იქნეს... (Акты, 1, 1866, ст.56).

საეკლესიო კრების დადგენილება ტყვის სყიდვის აკრძალვის შესახებ იყო პირობა ნორმალური აღებმიცემობის განვითარებისათვის.

ლევან II დადიანის საეჭვო პროექტი

ლევან II დადიანს კარგად ესმოდა სამთავროს ეკონომიკური სიძლიერისათვის საეჭვო კაეშირების მნიშვნელობა. ოდიშის ახალგაზრდა მთავარი შეებლებისდაგვარად ხელს უწყობდა საეჭვო საქმიანობას, ყოველნაირად ცდილობდა ვაჭრების მიზიდვას.

იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი გადმოგვცემს, რომ: „მთავარ დადიანს ყოველთვის სურვილი ჰქონდა ვაჭრები მოეყვანა და თავის სამთავროში დაესახლებინა. ძალიან სურდა შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და საეჭვო საქონელი მოეზიდა". შემდეგ იტალიელ მისიონერს აღწერილი აქვს ლევან დადიანის დამარბეველი ლაშქრობები იმერეთში: „ერთ დროს ომში დაიმორჩილა იმერეთის მეფე ანუ მეფე ბაში-ანუკი. გარდა ამისა, ბრძოლაში დაამარცხა მთავარი გურიელი" (ჯუდიჩე მილანელი, 1964, გვ. 55). ჯუდიჩე მილანელი გადმოგვცემს ერთ-ერთი ლაშქრობის შედეგს, როცა ლევან დადიანმა მოარბია იმერეთი, აყარა ჩიხორში და ჩხარში მცხოვრები ებრაელი და სომეხი მოსახლეობა, რომლებიც ვაჭრობით იყვნენ დასაქმებულნი და ჩაასახლა სამეგრელოს სოფ. რუხში: „შემდეგ იძულებული გახადა, საცხოვრებლად გადმოეყვანა სამეგრელოში ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი. აქვე გახსნა ზარაფხანა, სადაც ირანული ყაიდის ფული იჭრებოდა (ი. ანთელავა, 1975, გვ.113).

ლევან დადიანი ყოველნაირი ხერხებით ცდილობდა სამთავროში ვაჭრების მიზიდვას: „ცდუნებითა და მოტყუებით მრავალი თურქი ვაჭარიც დაიყოლია ამავე პირობაზე... ისე, რომ ეს მხარე მის ხელში თითქმის ორჯერ გაიზარდა" (ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, 1964, გვ.55).

ლევან დადიანი ცდილობდა თავის სამთავროში ვაჭრობის გამოცოცხლებას და იტალიელი მისიონერე-

ბის საშუალებით ეძიებდა საეჭრო კავშირებს ევროპაში.

ოდიშის მთავარმა მისიონერებს გააცნო მის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ევროპასთან ირანის ვაჭრობისათვის ახალ სავაჭრო გზას: „შარშან ჩვენს პატრებთან საუბარში დადიანმა ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა: თუ შესაძლებელი იქნებოდა, კონსტანტინეპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა, აბრეშუმის მიეიდვას მთლად მის სამთავროდან, აგრეთვე ნაწილობრივ სპარსეთიდანაც" (ჯ. ჯუდიჩე, გვ.55-56).

განსაკუთრებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ გასატანი აბრეშუმის დიდი რაოდენობა ადგილობრივი, ოდიშური უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ნაწილი ირანული (ილ. ანთელავა, 1990, გვ.111).

ლევან დადიანს გეგმის ყველა დეტალი, როგორც ჩანს, კარგად მოფიქრებული და გააზრებული ჰქონდა: „კიდევ შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასში უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ" (ჯ. ჯუდიჩე, გვ.56).

პროექტის განხორციელება მეტად მომგებიანი იქნებოდა არა მარტო ოდიშის სამთავროსათვის. ამ საქმით დაინტერესებულ უცხოელ ვაჭრებს სამეგრელოს მთავარი საბაჟოს შეღავათებს და ყოველგვარ მხარდაჭერას სთავაზობდა: „ამგვარად, ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან და ფრანგებიც, რომლებიც აქ იაფად შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანენ საფრანგეთში" (ჯ. ჯუდიჩე, გვ.56). ამ პროექტის განხორციელების მიზნით ლევან დადიანმა სტამბოლში მყოფ ვენეციის წარმომადგენელთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა მისიონერი: „ორი წელია მას შემდეგ, რაც აქედან კონსტანტინეპოლში წამოვიდა ჩვენი პატივცემული

პატრი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელმაც სხვა პროვინციების მაცალითებიდან იცოდა, რომ ვაჭრობასთან ერთად ხშირად კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასაც ჰქონია ადგილი. ამ ფაქტზე კოსტანტინეპოლში ელაპარაკა ყოვლად აღმატებულ სინიორ ბაილის, რომელიც დაჰპირდა, რომ ოდიშში გაგზავნიდა ვენეციელ ვაჭარს ჯერონიმო დე ტომაზის" – გვიამბობს იტალიელი მისიონერი (იქვე).

შესანიშნავად დაწყებული ეს მოლაპარაკება ოსმალეთსა და ვენეციას შორის მომხდარმა „არეულობამ და განხეთქილებამ" ჩაშალა (იქვე).

ლევან დადიანმა, რომლისთვისაც მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ ჩანაფიქრის განხორციელება, კვლავ გაგზავნა კონსტანტინეპოლში იტალიელი მისიონერი: „დადიანი ამის გამო მეტად ღელავდა და რადგან სურვილი ჰქონდა განზრახვა შეესრულებინა... გადაწყვიტა, წელს აქ მყოფი გემით გააგზავნოს ყოვლად აღმატებულ სენიორესთან კოსტანტინოპოლში ერთი ჩვენი პატრთაგანი ოთხი მინდობილობით, რის შესახებაც განმეორებით სთხოვა ჩვენ პატრ ვიკარიოსს, რომელმაც უარი ვეღარ უთხრა და ზემოხსენებული მიზნით კოსტანტინოპოლში მოავლინა დონ კლემენტე გალანო სინიორესთან მოსალაპარაკებლად" (ჯ.ჯუდიჩე, გვ.56, 1964).

როგორც ჩანს, ეს ვიზიტიც უშედეგოდ დასრულდა. ჯუდიჩე მილანელი ამ მოლაპარაკების შედეგზე აღარაფერს ამბობს.

ოდიშის მთავარმა ამ მარცხის შემდეგაც განაგრძო ევროპასთან სავაჭრო კავშირების ძიება. 1643 წ. დადიანმა პაპ ურბან VIII-თან წერილით გაგზავნა მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. ამ წერილით თხოვდა შალისა და აბრეშუმის მქსოველ ხელოსნებს, რომელთაც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ასწავლონ ხელობა, პირდებოდა მათ ქონებასა და სრულ თავისუფლებას, ყოველგვარ წყალობას" (ილ. ანთელავა, 1990, გვ.117).

რომში ჩასულ ჯუდიჩეს ახალი პაპი დახვდა — ინოკენტი X, რომელსაც არ აინტერესებდა აღმოსავლეთთან ურთიერთობის საკითხი, ამიტომ დადიანმა ვერ მიიღო შალისა და აბრეშუმის მქსოველი ოსტატები.

ამდენად, ლევან დადიანმა ვერ შეძლო თავისი პროექტის განხორციელება. რომიდან უკან დაბრუნებული ჯუდიჩე მილანელი ოსმალებმა შეიპყრეს და იგი საპყრობილეში გარდაიცვალა.

ქართველი მთავრის ამ შესანიშნავ წამოწყებას, რომელიც მიზნად პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციისაგან თავის დაღწევას ისახავდა, კვლავ ოსმალეთის იმპერია და მისი ინტერესები გადაეღობა წინ.

მძიმე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამო ქართველი მეფეები და მთავრები უფრო ხშირად ვერ ახერხებდნენ საშინაო ვითარების მოწესრიგებას.

ვაჭართა ფენა XVII - XVIII სს.

ქართული სამართლის ძეგლების (ბექა-აღბუღას სამართალი, ვახტანგის სამართალი) მიხედვით ვაჭრები ცალკე ფენას შეადგენდნენ.

ბექა-აღბუღას სამართალი (XIII-XIV სს.) გამოყოფდა ვაჭართა ორ კატეგორიას: „საპატიოსა“ და „მას ქვეშეთისა, რომე გზით მოვიდეს“. კატეგორიებად გაყოფას საფუძვლად ქონებრივი შეძლება ედო, სამართლებრივად საპატიო ვაჭრის სისხლი მესამე თაობის აზნაურის სისხლს (12 000 თეთრი) უტოლდებოდა, ქვემო ვაჭრისა მსახურის სისხლის ტოლი იყო (6 000 თეთრი) (ი.დოლიძე, I, 1963, გვ. 463).

დოკუმენტური მასალის გაცნობა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ყოველმხრივ ცდილობდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ვაჭრებსა და მათ საქმიანობას.

ბექა-აღბუღას სამართალი ადგენს: „თუ გაძარცვასა შიგან კიდეცა მოკლას ვაჭარი

ეგორიის ვაჭრის სისხლი, ემა გლეხების მსგავსად, 12 თუმნად ფასობდა. (ი. დოლიძე, I, 1963, გვ. 39, 40).

სოლომონ I-ის „განწესება“ ერთმანეთისაგან ყოფდა და ასხვავებდა სასყიდელ თანხას (მაშინაც კი, როცა საქმე ერთი და იგივე პროდუქტს ეხებოდა), რომელიც აიღებოდა უშუალო მწარმოებელისაგან და ვაჭრისაგან: „განწესებაში“ ვკითხულობთ: „ერბო ხარექი სოფლის კაცისაგან ორ რუბათ და ვაჭრისგან ყურუშათ“ (ნ. ბერძენიშვილი, 1938, გვ. 261).

ვაჭაროა ფენის კატეგორიებს შორის იერარქიას საფუძვლად ედო ქონებრივი ცენზი.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ებრაელი და სომეხი მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობას მისდევდა. „ესენი (ურიები) მთელს საქართველოში ცნობილი იქნენ როგორც ვაჭრები და ისე სადმე სიტყვა ურია არ იხსენებოდა, რომ იქ იგი მაშინათვე ვაჭრობით არ ყოფილიყოს ცნობილი“ (ბ. ჭიჭინაძე, 1904, გვ. 40).

XVII ს. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ „სხვებზე მეტი ვაჭრები იქ (ქუთაისში) სომხები არიან, სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იმპერიათი საქონელი“ (არქანჯელო ლამბერტი, 1937, გვ. 10).

XVII-XVIII სს. ქალაქებში სავაჭრო საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებული იყო ებრაელი და სომეხი მოსახლეობის ხელში. ვაჭრობაში მათი ხვედრითი წილი იმდენად დიდი იყო, რომ ნაციონალური სახელწოდება „სომეხი“ და „ურია“ აღნიშნული საქმიანობის ტერმინად იქცა.

დასტურად მოგვყავს რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი: ლევან დადიანის ერთ-ერთ სიგელში მოხსენებულია: „ვაჭრის შვილები ბაბადიში... მაშოს ძენი“ და ა.შ. 1644 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ვაჭარი ქუთათისს“ და მერე ჩამოთვლილია:

იორდანიშვილი, ფიჩხაძე, დანელა ურია (ი.დოლიძე, III, 1970, გვ. 506).

ვახუშტი ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო პუნქტების ჩასოთვლისას შენიშნავს, რომ „აქა ცხოვრობენ სომეხ-ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 286).

1789 წლის საბუთში (შეწირულობის წიგნი სოლომონ II-სა გელათისადმი) ჩამოთვლილია მეფის მიერ გელათის მონასტერს შეწირული „სამი მოსახლე კოკასშვილები“ და „ერთი მოსახლე სომეხი“, შემდეგ განმარტებულია: „ამ ვაჭრებს დავადევით ბეგრად... გენათელმა ვაჭრების საქმე გასინჯოს“... (ს. კაკაბაძე, II, 1921, გვ.95).

1790 წლის საბუთში (ყმა ურიებისა და სომხების სითარხნის წიგნი დავით იმერთა მეფის მიერ მისი სიძის სვიმონ აბაშიძისადმი), ვკითხულობთ: „რომელიც სომეხი და ჰურია შენი იმერეთში იქნას, არც ბაჟი, არც სამღებრო იჯარა და არც სხვა გადასახადი ჩვენი იმაზედ არ მოვიდეს“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd - 1280).

აქ „სომეხსა“ და „ურიას“ ქვეშ უდაოდ იგულისხმება ვაჭარი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა 1792 წლის საბუთი – შეწირულობის წიგნი, მიცემული გიორგი წულუკიძის მიერ ნიკორწმინდისადმი, სადაც სიტყვა „ურია“ გაიგივებულია „ვაჭართან“, „განვიხილე... და ესცან ტაძარი შენი მოსამსახურე ვაჭართაგან მოკლებულიყო... და შევსწირე... მოსახლე ერთი ურია მიხაელისშვილი შალომა“ (ს. კაკაბაძე, 1921, გვ. 100). ებრაელი ვაჭრებია ჩამოთვლილი 1770 წელს ანტონ ცაგარელის მიერ საირმისადმი შეწირულების წიგნში: „ნასყიდი ვაჭრები გვყავდა და ესენი შემოგწირეთ... ურია დავითია მოშიკა და კიდევ ერთი ურია. ვაჭრები ურია მარდახა და მისი ძმა იაკობა იხსენიებიან ორ საბუთში: 1767 წ. (შეწირულების წიგნი კაცია დადიანისა მარტვილისადმი) ისინი მოიხსენიება, როგორც ურია ვაჭრები; ხოლო 1770 წ.

საბუთში (შეწირულების წიგნი გრიგოლ ჭყონდიდელისა მარტვილისადმი), აღნიშნულია მაოი ეროვნება და იგულისხმება სავაჭრო საქმიანობა (იქვე, გვ. 33-34, 42-43).

ამდენად, დასავლეთ საქართველოში ნაციონალური სახელწოდება „სომეხი“ და „ურია“ განსახილველ ხანაში საქმიანობის გამომხატველ ტერმინად იქცა.

ებრაელი და სომეხი მოსახლეობის უმრავლესი ნაწილის მონაწილეობა სავაჭრო საქმიანობაში არ ნიშნავს, რომ ვაჭრობა საქართველოში მხოლოდ ამ ფენის პრივილეგია იყო, იმ პერიოდის დოკუმენტური მასალის მიხედვით, XVII ს-ში სავაჭრო პროცესებში ბევრი ქართული გვარი გვხვდება, ასეთებია: გიორგი კეცაძე (თ.ბერაძე, 1981, გვ. 181), მელქაძე (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 196) და ა.შ. მოვიხმობთ ცნობებს XVIII ს. დასავლურ ქართულ საბუთებში დასახელებული ქართველი ვაჭრების შესახებ: მელქაძე ივანე, ალხაზიშვილი ზურაბი, ბეშკენაშვილი პაპუა, ხელისუფლისშვილი, ხოსია მესხიშვილი, შიო მწყერაშვილი, მუსტაფა ბარბაქაძე და სხვები (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ.196. ი. დოლიძე, 1970, III, გვ. 506; ქუთ. ისტორიული მუზეუმი 85; ხელნაწერთა ინსტიტუტი H-3802).

დასავლეთ საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს ახალციხიდან გადმოსულმა და იმერეთში დამკვიდრებულმა, კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარმა ქართველმა ვაჭრებმა. გაიმერლებულ ახალციხელთათვის სავაჭრო ოპერაციების ჩატარება მემკვიდრეობით საქმიანობად იქცევა. იმერეთში ვაჭრობდნენ ასეთ საგვარეულოთა წარმომადგენლები: კოკოჩაშვილები, ხეჩინაშვილები, ოცხელები, ქორქაშვილები, ბაინდურაშვილები და სხვა (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 461; ქუთ. ისტორიული მუზეუმი – 1621, 2202, 2198; ხელნაწერთა ინსტიტუტი (-3020).

სხვაობა ვაჭართა გადასახადებში (ვაჭრები, როგორც წესი, ყმები იყვნენ) განპირობებული იყო მათი განსხვავებული ქონებრივი შეძლებით: 1610-30 წლებით დათარიღებულ საბუთში (შეწირულების წიგნი მიცემული აბაშიძე პაატასა და მისი დედის გულბუდახის მიერ კაცხისადმი) მონასტერს შეწირულ ყმა ვაჭრებს ედებათ განსხვავებული გადასახადი: ქუთაისელი ვაჭარი ალხაზიშვილი ზურაბა იხდის „ოთხ ლიტრა სამთელს და ნახევარ ჩარექ საკმეველს", ხოლო ჭალატყელ ურია იოსებას დაედო ბეგარა – ერთი ლიტრა სანთელი და ერთი აბაზის საკმეველი (საისტორიო კრებული, III, გვ. 51-52).

განსხვავებული ოდენობით იხდიან ბეგარას, 1789 წლის საბუთით, სოლომონ II-ის მიერ გელათის მონასტერს შეწირული ვაჭრები: „სამი მოსახლე ურია კოკიაშვილები" და „ერთი მოსახლე ანდრია მიქელაშვილი", საბუთში ვკითხულობთ: „დავადევით ბეგრად, ურიას კოკიაშვილს თუთხმეტი მარჩილი თეორი, ლიტრა სამთელი, მეორეს მოსახლეს კოკიაშვილს დანიელას დავადევით თუთხმეტი მარჩილი თეთრი და ერთი ლიტრა სამთელი", მესამე მოსახლე კოკიაშვილი ნაკლებ ბეგარას იხდის; „დავადევით იოსებას რვა მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი". ვაჭართა ბეგარა რომ ქონებრივი ცენზით, საკაჭრო საქმის მომგებიანობით განისაზღვრებოდა, ამის დასტურს თვით საბუთი იძლევა, სადაც ვკითხულობთ: „გენათელმა ვაჭრების საქმე გასინჯოს, და თუმც შეიმატონ, ბეგარასაც მომატოს. წირვის საქმე მომატებული მსგავსად განუწესოს, თუ დაიკლონ, ბეგარაც ისე შეზავებით ააღებინოს"... (ს.კაკაბაძე, II, 1921, გვ. 95).

ვაჭართა ფენის შიგნით ქონებრივმა დაყოფამ თავისი შედეგი უკვე XVIII საუკუნის ბოლოსათვის აჩვენა. წარმოიშვა შეძლებულ საქმოსანთა ერთი ნაწილი,

ისტორიულ საბუთებში ხშირია ვაჭართა გაძარცვების ან ბაჟისაგან მათი განთავისუფლების მაგალითები. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება მაქსიმე კათალიკოსის მიერ ალელი სონეხი ვაჭრების მიმართ გადასახადის დაწესების წიგნი (1778 წ.) საბუთში ვკითხულობთ: „სანამ ამ ქვეყანაში იყვნენ, ეს ბეგარა... თუ რაიმე წასვლა მოინდომონ თავის ქვეყანაში, ნურა კაცი ნუ დაუშლის“ (ს.კაკაბაძე, II, 1921, გვ. 63).

XVIII ს. II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისის ვაჭართა ფენის შიგნით მიმდინარე დიფერენციაციის შესახებ ძირითადად მოცემული პერიოდის სავაჭრო საამხანაგო წიგნები და სავალო თამასუქები მიგვანიშნებს, რომელთა შესწავლა ვფიქრობთ, უდაოს ხდის იმ ფაქტს, რომ XVIII ს. II ნახევარში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ჩანს ფეოდალური ურთიერთობების რღვევის ნიშნები.

ამ პერიოდში, ფულად-სასაქონლო კავშირების გაცნობის დროს გამოიკვეთა საქმოსანთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც ალღო აუღეს ეპოქის მოთხოვნებს და სწრაფად ჩაებნენ სავაჭრო-საბაზრო პროცესებში. აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ასეთი საქმოსანია ლაშქარნიკისის სახელოს მატარებელი თავადი მანუჩარ თუმანიშვილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში აზნაური ნიკოლოზ ქორქაშვილი.

XVIII ს. II ნახევარში თბილისში მოღვაწეობს შეძლებულ ვაჭართა ნაწილი, ესენი მდიდარი ვაჭრები, ენერგიული საქმოსნები და მსხვილი მევახშეები არიან: თუმანიშვილები (მანუჩარი და მისი ძმა სულხანი), ბეგთაბეგიშვილები, ყორღანაშვილები, აბამელიქოვი (მანუჩარ თუმანიშვილის სიმამრი, იგივე ტერშამოვანოვი), ზაქარია აკიმოვი, მერაბ-აღა ოქუაშვილი, რომელთა უმრავლესობა ერთ რომელიმე დარგში მისდევს კომერციულ საქმიანობას, ან გარკვეული გეოფრაფიული სფეროა მათი ასპარეზი. მაგალითისათვის დავასახელებთ ქ. ხოიში მოვაჭრე მერაბ-აღას,

ძვირფასი თვლებით მოვაჭრე საამ შიხინაშვილს (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 70, 92), თბილისელ ვაჭარ გასპარაშვილ კარაპიტას, რომელსაც თავისი საქონელი ძირითადად ქალაქ ბასრაში დააქვს სავაჭროდ (ნ. ბერ-ძენიშვილი, 1953, გვ. 278).

დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა შეძლებულ ვაჭართა ნაწილი, მათ რიცხვს მიეკუთვნება ენერგიული საქმოსანი მელქონა მეფისაშვილი, რომელიც XVIII ს. ბოლოს იწყებს თავის საქმიანობას. 1796 წლის საბუთით სოლომონ II-მ გაანთავისუფლა მელქონა ბაჟის გადასახადისაგან: „წყალობა გიყავით და ამოგიკვეთეთ ბაჟი, ჩვენს საბრძანებელშიდ ყველგან“ — ვკითხულობთ საბუთში (ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd-6699) 1808 წლის საბუთში იგივე პირს ეხედავთ ამხანაგებთან ყაზარაშვილ პავლესა და სტეფანაშვილ პეტრესთან ერთად ლომსიათხევის სამღებროს იჯარის საქმეში, „ერთი წლით მოგყიდეთ... რაც იმუშაო, მის ბაჟი არ უნდა ავიღო და სხვა რაც მოიტანოთ და ან რაც გაიტანოთ, ყველასი ბაჟი უნდა მამცეთ“ — გვამცნობს სოლომონ II-ის მიერ სამღებროს იჯარით გაცემის წიგნი (ქიმ-1994)

მდიდარი ვაჭრები უკავშირდებიან ერთმანეთს და ხშირად ერთად აწყობენ სავაჭრო ოპერაციებს თუ მსხვილ საქმიან გარიგებებს. მანუჩარ თუმანიშვილს ინტენსიური კონტაქტი აქვს როგორც ტერშამო-ვანოვთან, ასევე ქ. ხოიში მოვაჭრე მერაბ-აღასთან.

იგივე პროცესებს აქვს ადგილი დასავლეთ საქართველოშიც, მელქონ მეფისაშვილს მუდმივი სავაჭრო კონტაქტი აქვს ნიკოლოზ ქორქაშვილთან. საინტერესოა „მეოტკეების“ იჯარის თავდებობის წიგნი, შედგენილი 1818 წელს (ქიმ — 2030). უფრო მოგვიანო საბუთით ხდება „იჯარის თეთრის გაწმენდა“ მელქონას ძმებსა და ნიკოლოზ ქორქაშვილს შორის (ქიმ — 2198).

XVIII ს. II ნახევრის დოკუმენტური მასალა ცნობ-ებს გვაწვდის ცნობილი იმერელი ვაჭრისა და საქმოსნის — ბეუან ბაინდურაშვილის შესახებ,

რომელსაც სავაჭრო კონტაქტები აქვს სტამბოლში. 1792 წელს ზურაბ წერეთელს მისთვის სტამბოლში სავაჭროდ თავისი კაცი გაუტანებია საქონლით (თ. ბერაძე, 1980, გვ. 184). საინტერესო ცნობას გვაწვდის პავლე ციციანოვის ბრძანება, რომლის თანახმად იმერელ ვაჭარ ბეჟან ბაინდურაშვილს სტამბოლში უნდა გადაეცეს 4 500 მანეთი, რითაც მას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-3020).

საკმაოდ მსხვილი სავაჭრო წამოწყებები უკავშირდება ქუთაისელი საქმოსნის დავით ოცხელის სახელს. 1801 წლის საბუთით დავით ოცხელი სავაჭრო ამხანაგობის კრედიტორად გვევლინება (მ.სამსონაძე, 1980, გვ. 184). სხვა საბუთით კი (იმერეთის დედოფლის ბრძანება ვარციხის სანაოსნოს უფროსისადმი) დავით ოცხელი და მისი შვილები ქუთაისიდან ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე თავისუფლდებოდნენ სანაო ბაჟისაგან (თ. ბერაძე, 1981, გვ. 117).

თბილისელ საქმოსანთა წრეშიც განსხვავებაა. ზოგიერთი მათგანი დაბალი სომხური ფენიდან წამოსული გამდიდრებული ვაჭარია, როგორც მაგალითად, ამ დროისათვის ცნობილი თბილისელი ვაჭარი — თოფისწამლის მანუფაქტურის პატრონი ისაია თაყუაშვილი (ცსსა, 1450.18-14; 1450.18-17).

ხდება საპირისპირო პროცესიც — სავაჭრო საქმიანობაში აქტიურად ებმება თავადაზნაურთა ფენის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც იმთავითვე სწრაფად გაერკვა ეპოქის მოთხოვნებში და მის შესაბამისად გარდაქმნა თავისი საქმიანობა, ისინი არ თაკილობენ არანაირ საქმეს, რომელიც მათ მოგებას მისცემს.

ქორქაშვილთა საგვარეულო სამეფო აზნაურების „ფიცისკაცთა“ წრეს ეკუთვნოდა (მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 184). როგორც ცნობილია, „ფიცისკაცები“ სოლომონ I-ის ერთგული წრე და მისგან `პრივილეგირებული აზნაურობა იყო. -ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი

საბუთით ჩანს, რომ ნიკოლოზ ქორქაშვილს მეფესთან ნათელმირონი აკავშირებდა (ქი] - 116).

დოკუმენტური მასალის განხილვა ნათელყოფს, რომ ნ. ქორქაშვილი სამეფო კართან დაახლოებული პირია და საკმაოდ შემოსავლიანი თანამდებობები უჭირავს. ნიკოლოზი სოფ. ბაშის მოურავია (ქიმ - 2232). ამავე დროს იგი უფლებამოსილია დახუროს („დაბ-ეჭდოს") ქუთაისში დუქანი (ხულა) ან ჩამოართვას ვაჭარს საქონელი (ქიმ - 431, 443). თუ რა თანამდებობა უჭირავს მას სამეფო კარზე, ამის დადგენა ძნელია, რადგან დოკუმენტური მასალა ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა. სავარაუდოა, რომ იგი იყო ქუთაისის მოურავი (ქიმ-2242). რუსეთის მმართველობის დროიდან ნიკოლოზი საბუთში „პრაპორშჩიკი"-ს ჩინით იხსენიება (ქიმ - 2242, 2251).

XVIII ს. II ნახევრით დათარიღებული საბუთით, ნ. ქორქაშვილს სოლომონ II უწყალობებს სამეფო ბაჟე-ბის აკრეფის უფლებას. დოკუმენტის თანახმად, მას უფლება ეძლევა ბაჟი აიღოს სამღებროებიდან, საქონლის საკლავი ადგილიდან, ქუთაისში შემავალ ხიდზე, ქალაქში შეტანილ მარილსა და თევზზე, ამავე დროს, მეფე დასჯით ემუქრება ყველას, ვინც არ დაემ-ორჩილება მის მოხელეს. საბუთი ადასტურებს, რომ ბაჟის ამკრეფი მოხელე ამ საქმიანობისათვის სარგოს იღებს (Пурцеладзе, 1882, ст. 115).

ნიკოლოზი ქალაქში არსებული სხვადასხვა სავაჭრო-სახელოსნოების მფლობელია. ამავე დროს იგი იძენს ახალ სავაჭროებს. 1807 წლის საბუთით, ნიკოლოზმა ქუთაისში მიქელაძისაგან შეიძინა ხულა (ქიმ- 1619) იმავე პერიოდში იყიდა ხულა სოფ. გეგუთში. ამ სოფელში მას, როგორც ჩანს, მკვიდრი მამული და „სასახლე" ქონდა (ქიმ - 1620, 2237). აინტერესებს არა მარტო ხულების, არამედ შემოსავლის მომტანი სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობების შეძენა. 1806 წლის საბუთით მან ქუთაისში იშხნელისაგან შეიძინა ფურნე (ქიმ - 245). ნ. ქორქაშვილის სახელი ხშირად მეორდება

დასავლეთ ქართულ საამხანაგო წიგნებში, სადაც იგი თაკნის მფლობელად გვევლინება, სავაჭრო ოპერაციაში უშუალო მონაწილეობას არ იღებს, საქმეში მხოლოდ ფულს აბანდებს. ნიკოლოზი აქტიურად მონაწილეობს სამეფოს საგარეო ვაჭრობაში. ჰყავს დაქვემდებარებული წვრილი „მუშა" ვაჭრები, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ საგაჭრო ოპერაციებს (რ. კაშია, 1990, № 2).

ფეოდალური ურთიერთობის დროს, წარმოების არარსებობის პირობებში, როცა მთავარ სიმდიდრეს მიწა წარმოადგენს, კაპიტალის დაბანდების ძირითად საშუალებად რჩება მამულებისა და ყმა-გლეხების შეძენა. უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს. II ნახევრის საქართველოში ფულად-სასაქონლო ურთიერთობების წარმატების ერთ-ერთი საწინდარი იყო მიწების ძლიერი ამოძრავება (ირ. ანთელავა, 1977, გვ. 84) მსხვილი მამულის შექმნა ბაზართან კავშირს, საბაზრო პროდუქციის დამზადებას ისახავდა მიზნად. დოკუმენტური მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ ქორქაშვილი მამულებს იძენს, უპირველეს ყოვლისა სოფ. გეგუთში, სადაც მას როგორც ჩანს, მკვიდრი მამული და „სასახლე" აქვს: 1806 წ. მან იყიდა გეგუთში ყმა გლეხები. 1812 წლის საბუთით შეიძინა მესხების მამული. ანალოგიური შინაარსისაა საბუთი, რომლის თანახმად იყიდა გეგუთელი გრიგალაშვილების „ხუთი ქცევა ტყე" და მინდორი, რაშიც გადაიხადა 100 ფლური. იმავე პერიოდში შეიძინა ჭილაძეების მამული და ა.შ. (ქიმ - 2237, 1618, 1683, 1622, 2188). ისტორიული საბუთების მიხედვით ნიკოლოზ ქორქაშვილი ყმა-მამულების მფლობელია არა მარტო თავის სამკვიდრო სოფ. გეგუთში, არამედ იმერეთის ახლომახლო სოფლებსა და გურიის სამთავროში: 1813 წლის საბუთით ჩანს, რომ ნ. ქორქაშვილი სხვავას ჯაფარიძეებისაგან ნაყიდ გლეხებს სწირავს ნათლისმცემლის უდაბნოს. ამავე პერიოდში იგი წულუკიძეებისაგან ყიდულობს ყმებს ხონში და სოფ.

ფარცხანაყანებში. გ. წულუკიძისაგან იძენს ყმა ურიებს, ასევე ყმებს ეწერში, სოჩხეთში. XIX ს. I მეოთხედით დათარიღებული საბუთით მან შეიძინა მამული ვაშლაორში. სოფ პატარა ჯიხაიშში მას ეკუთვნოდა 17 ქცევა საყანე მიწა. ანალოგიური ხასიათისაა 1815-17 წლების საბუთები: ქორქაშვილი ყიდულობს ყმა-გლეხებს მიქაბერიძეებისაგან, ქუთათელაძეებისაგან, ნიუარაძეებისაგან. 1815 წელს გურიელ თავად გიგო ერისთავისაგან ყიდულობს ყმებს – ჩიგოგიძეებს, ასევე ყმები შეიძინა სახლთუხუცეს მაჭუტაძისაგან. ხოლო სოფ. სანავარდოში იყიდა ყმები ტუღუშები და ა. შ. (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი – №№ 2232, 2233, 2240, 1616, 1998, 1691, 1627, 871, 1630, 1684, 2253, 1613, 1680, 1628, 1997, 1685, 1686, 2201).

განსახილველ პერიოდში მიწისმფლობელობის ყმური ფეოდალური ფორმების გვერდით წარმოიქმნა უფრო პროგრესული ფორმა იჯარით გაცემა. მიწას ამუშავებს პირი, რომელიც ვალდებულია, აღებული მოსავლის ნახევარი მიწის მფლობელს გადასცეს, მოიჯარადრე მიწის პატრონის ყმა აღარ არის, იგი განსაზღვრული დროითაა დაკავშირებული მემამულესთან. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა 1816 წელს შედგენილი საბუთი: ნიკ. ქორქაშვილის კუთვნილი კვახჭირის სათიბი იჯარით აქვს აღებული კვინიხიძეს. მოსავლის ნახევარი მიწის მფლობელს რჩება (ზედმეტი პროდუქცია, რომელსაც მამული იძლევა, ბაზარზე გადის ან საკუთარ ხულებში იყიდება). დასტურად მოგვყავს ნონია აზარაშვილის წერილი ნიკოლოზისადმი: წერილი იგზავნება ქუთაისიდან სოფ. ბაშს: „მაიდამ... ღვინო მოიტანეს... ორ აბაზათ ყიდდნენ თუნგსა... როგორც მიბრძანებ, იმნაირად აღვასრულებ საქმესა“ – ვკითხულობთ საბუთში (ქიმ - 2233). ამდენად, იზრდება დაინტერესება საკუთარ მამულებში სასოფლო პროდუქციის ჭარბწარმოებისა. მსხვილ მეურნეობაში პროდუქციის ბაზარზე გასატანად დამზადება ხელს უწყობდა ახალი ტენდენ-

ციების განვითარებას საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

XVIII ს. II ნახევრის, განსაკუთრებით კი XIX ს. I მეოთხედის დასავლეთ საქართველოში ჩნდება ფეოდალური ურთიერთობის ნორმების რღვევის ნიშნები. გამდიდრებული საქმოსნების ხელში მოზრდილი კაპიტალის დაგროვება ახლო მომავალში საწარმოების გაჩენისა და განვითარების საწინდარია.

საქართველოს თავადაზნაურობისათვის ბაზართან კავშირი, ვაჭრობაში მონაწილეობა და ამ გზით მიღებული შემოსავალი უცხო არ იყო. შ. მესხია განიხილავს თბილისში ეკონომიკურ ცხოვრებას და შენიშნავს, რომ: „ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა თბილისის ეკონომიკურ საქმიანობაში XVIII ს. და XIXს. დამდეგს სხვა ხასიათსაც იღებდა. ზოგი ვაჭრობაში მონაწილეობდა... ზოგს კიდევ ქალაქში სარეწავი ქარვასლა თუ დუქანი გააჩნდა და მას ქირით და იჯარით გასცემდა, ან კიდევ თვით ამუშავებდა“ (შ. მესხია, 1958, გვ. 255-56).

XVIII ს. II ნახევარში მემამულეების დაინტერესება სავაჭრო ოპერაციებით მართლაც მკვეთრად იზრდება.

სავაჭრო ობიექტების – ხულებისა და სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობების ყველაზე მსხვილი მფლობელია სამეფო ოჯახი. ხულები სადედოფლო კუთვნილებას წარმოადგენდა. XVIII ს. II ნახევრის დოკუმენტური მასალა საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის მონაწილეობის შესახებ საბაზრო ურთიერთობებში. მემამულე დაინტერესებულია შემოსავლიანი სავაჭრო ადგილების ხელში ჩასაგდებით. სათავადო მამულში ჩანს შემოსავლის მომტანი სამღებრო (ნ. ბერძენიშვილი, 1937, გვ. 452). ფლობდა სავაჭრო ნაგებობებს (1798 წლის საბუთით ზ. წერეთელი ქუთაისში მის „მიერ აშენებულ ფურნესა“ და დუქანს სწირავს ჯრუჭს). ყიდულობს და ყიდის ხულებს: 1797 წელს ზ. წერეთელს შეუძენია ხეჩინაშვილისაგან ორი ხულა,

რაშიც ორასი მარჩილი გადაუხდია, მალევე ეს ხულები კაცია წულიკიძისათვის მიუქიდია (ქიმ - 85; ხელნაწერთა ინსტიტუტი - Hd-1178). 1784 წლის საბუთით ზურაბ და პაპუნა წერეთლების ხელში გადავიდა ხონის სავაჭრო-სახელოსნოები (შ. ბურჯანაძე, 1960, გვ. 83). ზურაბ წერეთელი საქმიანი გარიგებების უშუალო მონაწილედაც გვეცლინება. 1817 წელს შედგენილი ანგარიშის გასწორების წიგნი ნიკოლოზ ქორქაშვილსა და ზურაბ წერეთელს შორის გვიჩვენებს, რომ ფულზე მოთხოვნილების ზრდამ იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესი საბაზრო ურთიერთობებში ჩაბა, საბუთში ვკითხულობთ: „მე და თქვენ ერთმანეთში აღებ-მიცემა და ანგარიში გვქონდა... სულ ყოველივე გავსწორდით, რომ ერთმანეთთან აღარაფერი ანგარიში და დავა აღარაფერი გვაქვს“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი - Hd - 1573).

ზურაბ წერეთლის სავაჭრო ოპერაციებითა და მისგან მიღებული მოგებით დაინტერესების შესახებ გვამცნობს ერთ-ერთი საბუთი, რომლითაც ვიგებთ, რომ მას ვაჭრები გაუშვია სტამბოლში სავაჭროდ (თ. ბერაძე, 1981, გვ.184).

XVIII საუკუნეში თავადაზნაურთა წრის ზოგიერთი წარმომადგენელი აქტიურად ებმება საბაზრო-სავაჭრო პროცესებში. გარდა იმისა, რომ მათ მამულებში პროდუქცია საბაზროდ მზადდება, არ ერიდება სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობას.

სავაჭრო ცენტრები XVII – XVIII სს.

ვაჭრობის ადგილები XVII ს.

უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში ჩამკვდარი იყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა ყოველგვარი შესაძლებლობა. ქალაქები ძალზე დამცრობილი იყო. ტყვეებით ვაჭრობა მიმდინარეობდა ზღვისპირეთის დაბებში: ანაკლიაში, ფოთში, ქობულეთში და ა.შ. ზღვისპირა დასახლებებში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართებოდა. ტყვეთა სყიდვის რამდენიმე ბაზარი ქრისტეფორე კასტელის ჩანახატებმა დაგვიტოვა, მათ შორის გასაყიდი ბავშვების ბაზარი ქობულეთში (ქრისტეფორე დე კასტელი, 1976, გვ. 147). ქობულეთს, როგორც ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ ცენტრს აგვიწერს არქანჯელო ლამბერტიც (არქანჯელო ლამბერტი, 1937, გვ. 76).

ადამიანებით ვაჭრობის მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა ანაკლია, ეს იყო სოფელი მდ. ენგურის შესართავთან, სადაც ასამდე სახლი იდგა. „ამ სოფელში ყოველთვის არიან ტყვეების შემსყიდველი თურქები და ნავები, რომელთაც მიყავთ ისინი". ანაკლიაში ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ცხოვრობდნენ თურქები, რომელთა უმრავლესობას ანატოლიიდან გამოქცეული ყაჩაღები და მაწანწალები შეადგენდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა კონტრაბანდა და ტყვეებით ვაჭრობა იყო. აფხაზების მიერ გატაცებული ტყვეები მიჰყავდათ სოხუმში, ოჩამჩირეში, კელასურში და ა.შ. (ა.კილასონია, 1982, გვ. 113).

სასაქონლო ურთიერთობების თვალსაზრისით, XVII ს. დასავლეთ საქართველოს მთავარ სავაჭრო ცენტრად უცხოელი მოგზაურები ქუთაისს ასახელებენ. რუსი ელჩების: ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერით იგი ორ ნაწილად: „დიდ ქალაქად (ციხე-სიმაგრე) და ქვედა, მცირე ქალაქად" იყოფა (იევლიევისა... 1970, გვ. 154).

როგორც „კარგ სავაჭრო ქალაქს“ ახასიათებს ქუთაისს არქანჯელო ლამბერტი და ეხაზს უსვამს მის მოხერხებულ მდებარეობას: „იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველმხრივ ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით... სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი (არ. ლამბერტი, 1937, გვ. 10).

შოთა მესხია ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქებს სამ ჯგუფად ყოფს:

1. მცირე ზღვისპირა ციხე-სიმაგრეები და სავაჭრო პუნქტები: ბიჭვინთა, ზუფუ, ანაკოფია, სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი.
2. „მცირე ქალაქები“ მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებთან, ან კიდევ ადმინისტრაციულ (სამთავრო თუ სათავადო) ცენტრებთან დაკავშირებულნი: რუხი, ზუგდიდი, საჩხერე, შორაპანი, ჭალატყე, ონი, ლაილაში, ბაღდადი, ცუცხვათი, ოზურგეთი.
3. „მცირე ქალაქები“ საეპისკოპოსო კათედრალებისა თუ სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებთან, ასეთი იყო ჩხარი, რომელიც წმ. გიორგის მონასტერთან იყო წარმოშობილი, ხონი კი სამთავარეპისკოპოსო საყდართან; საეკლესიო ცენტრთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ჩიხორიც (შ. მესხია, 1983, გვ. 244).

XVII ს. დასავლეთ საქართველოში აღებ-მიცემობა, პირადი მოხმარების საგნებით ვაჭრობა სუსტად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა.

იმართებოდა პერიოდული ბაზრობები. სექტემბრის პირველ კვირას სამეგრელოში, წიფურიაში იკრიბებოდა დაახლოებით 2 ათასამდე სომეხი, ებრაელი და ქართველი ვაჭარი. წინასწარ აკეთებდნენ კარვებს, იყიდებოდა შეღებილი ტილოები, თურქული და

ირანული შალები, ადგილობრივი საქონელი: თაფლი, ცვილი, ძაფი, ჭილობი, ხის ხონჩები, თეხის ჭურჭლები, თოხები, მატყლი, ხარები, ძროხები, ცხვრები, თხები... ბაზრობები იმართებოდა ილორმი, ბედიაში, კორცხელში, ისგაურში და სხვა (არ. ლამბერტი, 1937, გვ. 102-103).

შ. მესხია ჟან დე ლიუკას ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ XVII ს-ის დამდეგისათვის აფხაზეთში არცერთი ქალაქი არ არსებობდა. სოხუმში ამ დროს ტრაპეზუნტიდან, კონსტანტინოპოლიდან და კაფადან მოსული ვაჭრები, რომლებიც ზოგჯერ იზამორებდნენ აქ, დუქნებში კი არ სხდებოდნენ, არამედ თვით ხომალდებში აწარმოებდნენ ვაჭრობას. მთელი აელადიდება, რომელიც უცხოელ ვაჭრებთან შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობას გაეცვალა, იყო ტყავი ცვილი, თაფლი და თევზი (შ. მესხია, 1983, გვ. 236).

საინტერესო ცნობებს გვაწვდის რატიანთა გუჯარი, რომელიც XVII ს. II ნახევრითაა დათარიღებული. აქ ჩამოთვლილია დაბები, სადაც ხომალდები სავაჭროდ მიდიოდნენ და დგებოდნენ. ესენია: „ტყაყურო, ანაკლია, ხორგა“ (ე. თაყაიშვილი, II, 1909. გვ. 82).

ამავე პერიოდის ორი საბუთი გვიდასტურებს, რომ ხორგაში სავაჭროდ ნავების მოსვლას სისტემატური ხასიათი ჰქონდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd- 2918, Qd-9136, ე. თაყაიშვილი, 1909, გვ. 43).

ნავების მიმოსვლასა და სავაჭროების გამართვას არეგულირებდა მთავრის ხელისუფლება: „სამი ნავის თათრები რომ მოვიდეს, ორი ჩვენი კაცისა დადგეს და მესამე ხატის ყმისა დადგეს და ჩვენგან მებაუემან ასრე გარიგოს“ (ხელ. ინს.-Hd-1551). XVI-XVII სს. ოდიშის მთავარ ნავსადგურს ტყაყურო წარმოადგენდა, რომელსაც ევროპელები ისგაურს უწოდებდნენ. იგი ზაფხულობით დიდი ხომალდებისათვის მოსახერხებელ მისადგომს წარმოადგენდა (თ. ბერაძე, 1981, გვ. 183).

შარდენის აღწერით, მოსული ვაჭრები იკავებდნენ რომელიმე ქოხს და იქვე მართავდნენ დუქანს (შარდენი, 1935, გვ. 102).

სავაჭრო ცენტრები XVIII ს.

XVIII ს. დოკუმენტური მასალის განხილვა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით სავაჭრო ცენტრებმა ზღვისპირა დასახლებებიდან ქვეყნის შიდა რაიონებში გადმოინაცვლა. ქალაქ ქუთაისში და დაბებში თანდათანობით გამოცოცხლება იგრძნობა. ამ პროცესს ხელს უწყობს ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაში რომელიმე კუთხის ტერიტორიული დახელოვნება (მაგალითად, დაბა ონის წინსვლა დაკავშირებული იყო რაჭაში რკინის მადნის წარმოებასთან).

დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ქუთაისი. ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროგრესული ძვრები, უპირველეს ყოვლისა, საქალაქო ცხოვრებაში აისახა „XIX საუკუნის პირველ წლებში... ქუთაისში ასამდის სავაჭრო დუქანი ირიცხებოდა...“ (ს. კაკაბაძე, 1924, გვ. 286). იგივე ცნობას, ქუთაისში არსებულ დუქანთა რაოდენობის შესახებ, გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე (ზ. ჭიჭინაძე, 1905, გვ. 36). ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიაში“ მოხსენებულია, რომ ქუთაისში „მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 280). XVIII საუკუნეში მიმდინარე ცხოველ სავაჭრო საქონელბრუნვაზე მიუთითებს ქუთაისში ნაპოვნი სხვადასხვა ქვეყნის მონეტები, მათ შორის ვენეციური, ოსმალური, რუსული, თბილისში მოჭრილი და ა.შ. (შ. მესხია, 1983, გვ. 256-58).

ქუთაისის ბაზარზე რეგულარულად იყიდებოდა საქონელი როგორც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან. ქალაქში სავაჭრო-სახელოსნოები ერთ რიგში იყვნენ მოქცეულნი. ამის დასტურია საბუთი, რომლის თანახმად გრიგოლ წერეთელი თავის ყმას სვამს ქუთაისში, მის კუთვნილ ორ დუქანში მედუქნედ: „რომელიც ზემოთ შამოელა პაპიაშვილის დუქანია და ქვემოთ ისხაკა იაკობაშვილის დუქანია" (ხელნაწერთა ინსტიტუტი -ᲰᲐ-1177, -ᲰᲐ-1178). მოგვყავს სხვა მაგალითიც: ნიკოლოზ ქორქაშვილმა იყიდა ქუთაისში ხულა (დუქანი), რომლის მდებარეობა ასეა აღწერილი: „პაპუნას ხულისკენ რომ გზა არის..." (ხელნაწერთა ინსტიტუტი-ᲰᲐ-1311).

განსახილველ ხანაში იმერეთის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ხონი. აქ მყიდველ-გამყიდველი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყრიდა თავს. იგი ასორტიმენტითაც მდიდარი სავაჭრო ადგილი ყოფილა (ირ. ანთელავა, 1977, გვ. 58). გიულდენშტედტი თავის „მოგზაურობაში", აღწერს რა ხონის ბაზრობას, რომელიც პარასკეობით იმართებოდა „ეკლესიის გვერდით დიდ მოედანზე", ჩამოთვლის საქონლის ნაირსახეობას, რაც აქ შემოდიოდა ძირითადად სამეგრელოდან, ჩრდ. კავკასიიდან, თბილისიდან (გიულდენშტედტის მოგზაურობა, 1962, გვ. 153-155).

პარასკეობა ხონში დიდი ბაზრობის დღე იყო. ამ დღეს მოსულ ვაჭარს უნდა გადაეხადა ხონელი ეპისკოპოსისათვის საქონლის ბაჟი ერთი აბაზის ოდენობით (ს. კაკაბაძე, 1921, გვ. 37). ხონის, როგორც სავაჭრო ცენტრის წინსვლას, საჭაპანო ტრანსპორტის პირობებში, ხელი შეიწყო მისმა მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. მასზე გადიოდა სამეგრელოს, ზემო იმერეთისა და ლეჩხუმის შემაერთებელი გზები (პ. ვაჭრიძე, 1977, გვ.57, 60).

ცხოველი საბაზრო ურთიერთობებით გამოირჩეოდა ფოთი, „რადგან იგი რიონის

შესართავთან მდებარეობდა. ყირიმიდან ამ გზით ადვილად შეიძლებოდ. ჯარის შეყვანა იმერეთსა და სამეგრელოში და ამ ჯარის სურსათით მომარაგება“ (მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 345). ფოთში „ბაზრობაზე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან მიდიოდნენ. აქედან ზღვით შემოტანილი საქონელი აღმოსავლეთ საქართველოშიც გადაჰქონდათ“ (თ. ბერაძე, 1981, გვ.183). ფოთის ბაჟი დადიანებს კარგ შემოსავალს აძლევდა. ქალაქ ფოთში აღმოსავლეთიდან შემავალ გზას „საქართველოს კარი“ ერქვა (შ. მესხია, 1983, გვ. 629).

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრად გვესახება ონი. გიულდენშტედტი აღწერს რა რაჭაში თავის მოგზაურობას, ასე ახასიათებს დაბა ონს: „აქ ცხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები, ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე. სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით ქართლიდან და მარილითა და ფეტვით, ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგორიდან, ბალყარელები, ბასიანელები და აგრეთვე სვანებიც მოდიან“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა, 1962, გვ. 107). მოგვიანებით (XIX ს. დასაწყისი) იგივე სურათს გვიხატავს პლატონ ზუბოვი: „ყველა ეს ხალხი (იგულისხმება ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ხალხები) აწარმოებენ ვაჭრობას იმერეთთან. პატარა სავაჭრო დაბა ონი, იმერეთის მაზრაში რაჭა, ამ ვაჭრობის მთავარი პუნქტია... ისინი იძენენ აქ მარილს, ბამბეულის ნაწარმს და ოჯახისათვის აუცილებელ წვრილმან საქონელს“ (Картина... 1838, ст. 135). დაბაში არსებობდა სავაჭრო ხულები (დუქნები) ასევე იმერეთის მეფის კუთვნილი დიდი სამღებრო (ხელ. ინს.-შდ-5090).

ვახუშტი ბატონიშვილი ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქებსა თუ დაბებს, სადაც ცხოველი სავაჭრო-საბაზრო ურთიერთობები

მიმდინარეობს. ესენია: ბალდადი, ჭალატყე, ოსურგეთი, ხიტეკი, შირაპანი, საჩხერე (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 267, 273, 279, 283, 321)

რუხი ცნობილი გახდა როგორც საკაჭრო პუნქტი, მას შემდეგ, რაც აქ XVII საუკუნეში ლევან დადიანმა ჩხარიდან და ჩიხორიდან გადაასახლა სომეხი და ებრაელი ვაჭრები.

ამდენად, XVIII საუკუნეში ბაზრობები იმართებოდა დასავლეთ საქართველოს ყველა პატარა ქალაქსა თუ დაბაში.

XVIII ს. დოკუმენტური მასალა ნათელყოფს, რომ შეწირულობების სახით ეკლესია-მონასტრების ირგვლივ თავს იყრის საბაჟოებიდან მიღებული თანხები თუ ყმა-ვაჭრების გადასახადებიდან დიდი ნაწილი. საბუთებში დასახელებულია დასავლეთ საქართველოში არსებული თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, რომელსაც ემსახურებიან თავისი ვაჭრები და შეწირულობების სახით იღებენ საბაჟო გადასახადებისაგან წილს. გადავხედოთ დოკუმენტურ მასალას: როგორც ჩანს, ყმა-ვაჭრების სამსახური ეკლესია-მონასტრებისათვის სრულიად აუცილებელ ფაქტორად ქცეულა: „ესცან შენი ტაძარი... მომსახურე ვაჭართაგან მოკლებულიყო" — ვკითხულობთ საბუთში. მემამულე უვსებს ამ დანაკლისს მონასტერს და სწირავს ებრაელ ვაჭრებს (ს. კაკაბაძე, 1921 გვ.100).

გელათის მონასტრის კუთვნილებაში მყოფი ვაჭრები მონასტრებს უხდიან იმ პროდუქციას, რითაც ვაჭრობენ: „ოროლ ჩარექს ბამბას სანთლის გულათ" (იქვე, გვ.63).

დოკუმენტური მასალა გვიდასტურებს, რომ ეკლესია-მონასტრებს ყავთ ყმა-ვაჭრები, გააჩნიათ კუთვნილი ხულები; ეკლესიები იღებენ საბაჟოებიდან თავიანთ სარგოებს.

საბაჟოები

საგაჭრო საქმიანობას აბრკოლებდა დასავლეთ საქართველოში არსებულ საბაჟოთა სიმრავლე. ცალკეულ სათავადოებში და საეკლესიო ცენტრებში არსებული შიდა საბაჟო სისტემა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი იყო.

XVII საუკუნის დასავლურ ქართულ დოკუმენტურ მასალაში საბაჟოები ძირითადად შაკიზღვისპირეთში ჩანს, იქ, სადაც გაცხოველებული ვაჭრობაა გაჩაღებული — ვაჭრობა ადამიანებით.

საბაჟოს ფუნქციონირებას ახორციელებს მოხელე-მებაჟე. იგი ემსახურება ცენტრალურ ხელისუფალს (მეფეს ან მთავარს), თავადს ან ეპისკოპოსს, შესაბამისად, ვისი კუთვნილებაა საბაჟო (ვის კუთვნილ მიწაზე არსებობს იგი). 1628 წ. საბუთიდან ვიგებთ, რომ სამეგრელოში გასაყიდად შემოტანილ მარილზე დაწესებულია დადიანის მიერ ბაჟი, რასაც მისი მოხელე ფოთელი მებაჟე იღებს (ს. კაკაბაძე, 1921, გვ.45-47).

ხორგაში კათალიკოსს ემსახურება საბაჟო, სადაც ბაჟი კათალიკოსის მიერაა დაწესებული. ჩვენს ხელთაა ფიცისა და პირობის წიგნი, მიცემული ჯაიან დეისმას მიერ დავით კათალიკოსისადმი: „თუ აქ (ხორგას) ნავი მოვიდეს, გულის მართლით, რომელიც თქვენი ბაჟი ყოფილიყოს, არც ის დაგაკლოთ და რომელიც წესი ყოფილიყოს, ნავიცა ისიცა მოვაბაროთ თქვენს მოხელეს" (ე. თაყაიშვილი, I, 1889, გვ. 43).

მოხელე აწესრიგებდა ვაჭრების საქმიანობასა და საქონელს. მოხელის შემოსავალი — სარგო საბაჟოდან აკრეფილი გადასახადიდან აიღებოდა (ხელნაწ. ინსტ. Hd-2921, Qd-9135).

ჩვენთვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის რატიანთა გუჯარი (XVII ს. II ნახ.). დადიანმა უბოძა თავის ერთგულ პაპუნა რატიანს ხომალდის წინამძღვრობა, ასევე „ხომალდის მდივნობა, მებაჟეობა და მოლარობა" (ე. თაყაიშვილი, II, 1909, გვ. 82).

დოკუმენტურ მასალაში ხშირად ვხვდებით ბაჟის შეწირულობებს. ასე, რომ ეკლესია-მონასტრების კუთვნილებად იქცეოდა საბაჟოების ან საბაჟო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი: „არის კათალიკოსის წესი ხომალდის ბაჟი ბიჭვინთისა ღვთისმშობლის შეწირული ჩუენგან" — ეკითხულობთ 1628 წ. ლევან დადიანის შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი: „ერთი მშვილდი, ათი სურმა (მოვერცხლილი -კოსმეტიკისათვის), ათი სამოგვე, ერთი ორპირი ქუნთი (ქსოვილი, საგებელი), ერთი ჩექმა, ათი მახათელი მარილი და ათი მთელი თევზი" (ს.კაკაბაძე, 1921, გვ.45-47). ბაჟიდან შემოსავალს სწირავს ლევან დადიანი ხოფის ღვთისმშობელს: „წყლის პირას რიონზედა ჭალადიდისა ნახევარი ბაჟი" (ხელნ. ისტ. Hd-2921, Qd-9135).

XVII საუკუნეში საბაჟოები ძირითადად შავიზღვისპირეთში ჩანს. XVIII საუკუნეში საბაჟოების ფაროო ქსელია განლაგებული ქვეყნის შიგნით: სავაჭრო პუნქტებთან, გზებზე, მდინარეებზე.

სავაჭრო ბაჟი ზოგჯერ იჯარით გაიცემოდა. მარტო იმერეთის მეფეს XVIII ს. მიწურულს იჯარით გაცემული ბაჟებიდან წლიურად 15 000 ვერცხლის მანეთი შემოსდიოდა. საგრძნობი იყო გურიის მთავრის საბაჟო შემოსავალიც. დადიანებს საბაჟო გადასახადები მნიშვნელოვან თანხებს აძლევდა. „ამით დიდად სარგებლობდა სახლი სამთავრო დადიანისა" (ხელნ. ინსტ. Ad-2235).

ძირითადად საბაჟო სისტემა სამეფოს ფუნქციაა. არსებული საბაჟოების უფრო დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, რასაც მეფის მოხელეები აწესრიგებენ, რისთვისაც ისინი იღებენ თავიანთ სამოხელეო შემოსავალს — სარგოს. ხშირ შემთხვევაში მებაჟეს აკრეფილი ბაჟის ნახევარი რჩებოდა (ხელნ. ინსტ. Ad-1565, ცსსა, 1449-2).

1796 წლითაა დათარიღებული მეფის წყალობა მელქონა მეფისაშვილისადმი, სადაც ვკითხულობთ:

„წყალობა გიყავით და ამოგიკვეთეთ ბაჟი ჩვენს საბრძანებელშიდ ყველგან, თუ იქვენ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქმნეთ, არც ჩვენგან და არც ჩვენს საბრძანებელშიდ ბაჟი არ გეთხოვებოდესთ" (ხელნ. ინსტ. Qd-6699).ანალოგიურ ცნობას შეიცავს 1790 წლის დავით იმერთა მეფის წყალობა ვაჭრებისადმი: „იმერეთში არც ბაჟი და არც სხვა გადასახადი ჩვენი იმაზედ არ მივიდეს" (ხელნ. ინსტ. Hd-1280).ორივე საბუთი ნათლად ასახავს ხელისუფლების ხელის შეწყობას ვაჭართა საქმიანობისა და ზრუნვას სამეფოს შიგნით მათი თავისუფალი გადაადგილებისათვის.

ბაჟები აიღებოდა მდინარეების გადასასვლელებზე: „მდ. ყვირილაზე და რიონზე საქონლის გადატანის დროს ყოველგვარ ტვირთზე, სურსათის გარდა, ერთ საპალნეში 65 ფარა ფულს იხდიდნენ" (თ. ბერაძე, 1985, გვ. 117).. ბაჟი აიღებოდა ხიდებზე რქოსანი საქონლისა და ცხვრის ფარის გატარების დროს: ფარიდან ორი ცხვარი (ცსსა, 1604, გვ. 5).

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ბაჟი არ აიღებოდა იმერეთიდან შეტანილ საქონელზე (ივ.ჯავახიშვილი, ტ.II, 1974, გვ.143).

სამთავროების საბაჟოებზე, ცხადია, ხორციელდებოდა მთავართა მონოპოლიური უფლებები. დასტურად მოვიყვანთ 1815 წელს შედგენილ ლევან დადიანის მოხსენებას რუსეთის ხელისუფლებისადმი ოდიშის სამთავროს ბაჟების შესახებ (ხელნ. ინსტ.Ad-2235) და 1814 წლის მოხსენებას ყულევის ბაჟის შესახებ (ხელნ. ინსტ.Ad-2228).

გურიის სამთავროში არსებულ საბაჟოებს გურიელი აწესრიგებდა (ცსსა, 1449-2). ხშირად ბაჟის უფლება გაიცემოდა „ქრთამის" აღების შემდეგ (ხელნ. ინსტ.Hd-1389 7).

ბაჟებიდან თანხის აკრეფის საქმეს, საბაჟოებს ემსახურებოდა მებაჟე მოხელეთა მთელი „შტატი". მათ

ნიშნავდა და აკონტროლებდა უზენაესი ხელისუფლება – მეფე ან მთავარი (ხელნ. ინსტ. Qd-9145; ქიუ-1172).

მებაჟის შემოსავალი – სარგო აღებული ბაჟიდან გადაიხდებოდა, მათ ერგებოდათ წილი, რაც წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით აიღებოდა.

როგორც ვხედავთ, მებაჟეობა შემოსავლიან სახელოს წარმოადგენდა და ზოგჯერ იგი მემკვიდრეობითად იქცეოდა. ვიმოწმებთ საბუთს, რომლის თანახმად, გიორგი გ'ურიელი უმტკიცებს გრიგოლეთის მებაჟეობას ბეჟოა თავართქილაძეს და მის შვილებს (ხელ. ინსტ. -Ad 1565) გვიანი საბუთით (XVIII ს-ის ბოლო) თავართქილაძეები კვლავ მებაჟე მოხელეებად გვევლინებიან (ი.დოლიძე, ტ.VI, 1980, გვ.265).

ერმენის საბაჟოში სვიმონ გ'ურიელის მიერ დანიშნული მებაჟე კაცია ნაკაშიძე მთავართან შეთანხმებით ბაჟის ნახევარს თვითონ იტოვებს: „საგ'ურიელო მომავალი რაც იყოს, ყოველიფერი ნახევარი თქვენთვის მომიბარებია და ნახევარი მე არ დამაკლოთ" – ვკითხულობთ საბუთში (ცსსა, 1449-2).

ფეოდალური სეპარატიზმის მძლავრობის პირობებში ძლიერ სათავადო, ფეოდალურ მამულებს თავისი საბაჟოები ჰქონდათ (ხელნ. ინსტ.-Hd-1559). ვაჭარი ან ბაზარზე მიმავალი გლეხი ამ სათავადოზე გავლისას ბაჟს იხდიდა ფეოდალის სასარგებლოდ, მებაჟე მოხელესაც სათავადო სახლი აწესებდა. მაგალითისათვის გავეცნოთ 1793 წლის წერეთლების სახლისკაცობის წიგნს, „რაჭას თუ იმერეთს, რომელიც მგზავრი ჩვენს გზაზე დაიარება, ცალიერს კაცს ბაჟი სულ არ ეთხოვოს, არც გამვლელს და არც გამომვლელს და საპანიანს კაცს, რომელიც განწესებული არ არის, მისგან მეტი ბაჟი არ გამოერთვას". როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სათავადო აკონტროლებს მთლიანად თავიანთ ტერიტორიაზე ვაჭართა თუ ბაზრებში მიმავალი გლეხების მიმოსვლას და თვითონვე აწესებს ბაჟის ოდენობას (დოკ. საქ. სოც. იხტ., II, 1953, გვ.284-285).

საბაჟოების დიდი ნაწილი იმყოფებოდა ეკლესიების მფლობელობაში. საბუთებში ხშირად გვხვდება საეკლესიო ბაჟები: „ეკლესიის შემოსავალს დაკლებოდა და სანთელ-საკმეველითა და იარაღით მოკლებულიყო. ახლა... მეფე სოლომონ... ეს სამთავრო ეპისკოპოსის ეკლესია და მამული და ნახევარი ბაჟი მიბოძა" – წერს იოსებ მროველი და თავის წილ ბაჟს სწირავს ხონის ეკლესიას (ცსსა, 1448-1515).

ოდიშის საბაჟო და წელიწადში 50 ქილა მარილი, ასევე ბაჟის სახით ზუთხის ათისთავი შეწირა კაცია დადიანმა საირმის ეკლესიას (ს. კაკაბაძე, 1921, II, გვ.29). ბეჟან დადიანის შეწირულობის შემდეგ მარტვილის მონასტრის მფლობელობაში გადადის პალიასტომის შემოსავლის ათისთავი და ფოთის ბაჟის ნაწილი (ხელ.ინსტ. H4-5056). ხონელი ეპისკოპოსი იღებს ბაზრობიდან მიღებულ გადასახადს – ერთ აბაზს (ს. კაკაბაძე, 1921, II, გვ.37-38) და ა. შ.

მმართველი წრეების მხრიდან სავაჭრო საქმიანობის მიმართ დახმარება და ხელისშეწყობა ბაჟებიდან გათარხნებითაც გამოიხატებოდა (ს. კაკაბაძე, 1921, II, გვ. 66; თ.ბერაძე, 1981, გვ. 117, 186).

საბაზრო კავშირები და სავაჭრო საქონელი XVII-XVIII სს.

ბაზარი და სავაჭრო საქონელი XVII ს.

უმძიმეს პერიოდშიც კი საბაზრო კავშირურთიერთობა დასავლეთ საქართველოს კუთხეებს შორის არ შეწყვეტილა. საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა პროდუქცია მზადდებოდა, რაც რეგიონისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ სიმდიდრესთან იყო დაკავშირებული. რაჭველები რკინის დამუშავებაში იყვნენ დახელოვნებული: „რაჭაში რკინის მადანი იმდენია, რომ მოსახლეობა სხვა საქმიანობას არ მისდევს, მარტო რკინას ამუშავებს და ამით ირჩენს თავსო“ (არქანჯელო ლამბერტი, 1937, გვ. 190). რაჭაში რკინის დამუშავებაზე გვიამბობს რუსეთის ელჩი ნიკოლოზ ტოლოჩანოვი, ამავე დროს აღნიშნავს, რომ „სპილენძი ბევრია, გვარჯილა თვითნაბადია მთაში“ (იევლევისა და ტოლოჩანოვის იმერეთში მოგზაურობა, 1970, გვ. 150).

არქანჯელო ლამბერტის ცნობით: „იმერეთის მეფესაც აქვს, როგორც მე მითხრეს, სარწმუნო კაცებმა, თავის სამეფოში, მთებში ვერცხლის მადნები და ჩუმად აწარმოებენ ამ მადნებსო... ხოლო დადიანი, რადგან ზღვისპირა არის, სადაც მუდამ მოდიან სავაჭროდ კოსტანტინეპილიდან გემები, დიდათ ცდილობს, რომ თავისი მადნები სრულიად დამალული და უცნობი იყოს“ (არქანჯელო ლამბერტი, 1970, გვ. 189).

დასავლეთში ხარობდა ბზის ხე, რომელიც თურქებს დიდი რაოდენობით, მათთვის მეტად მომგებიანად გაჰქონდათ. იგი სტამბოლში საკმაოდ ძვირად იყიდებოდა. ევლია ჩელების ცნობით, ბზის ხეზე იცვლებოდა აუცილებელი მოხმარების საგნები (ე. ჩელები, 1971, გვ. 189).

ქართული აბრეშუმი გამოირჩეოდა თავისი მაღალი ხარისხით, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ აბ-

რეშუმის წარმოებით განთქმული ირანი XVII საუკუნეში საქართველოდან ხარკს აბრეშუმის სახით იღებდა (ვ. გაბაშვილი, 1966, გვ. 175).

XVII ს. ნიკოლოზ ტოლოჩანოვის აღწერით, იმერეთში აბრეშუმი და ბამბა ყოველ სახლში მოჰყავდათ (იევლევისა და ტოლოჩანოვის იმერეთში მოგზაურობა, 1970, გვ. 150).

სვანები თავიანთი შინაური ნაწარმით, ნაბდებითა და მსხვილი შალებით ვაჭრობდნენ, რაც ხშირად ჩაჰქონდათ ქუთაისში, ასევე „ჩამორეკავენ ხოლმე თხებს და ცხვრებს" (არ. ლამბერტი, 1937, გვ. 10).

ზღვისპირეთი მდიდარი იყო ნავების ასაგები ხეტყით. უხვად მოიპოვებოდა სელი, სელის ძაფი და კანაფი (თ. ბერაძე, 1981, გვ. 185).

დასავლეთ საქართველო მდიდარი იყო ბეწვეულით. თურქებს გაჰქონდათ თახვის, მელიისა და კვერნის ბეწვი (იქვე).

დიდი რაოდენობით იყიდებოდა თაფლი, იგი სამეგრელოს სამთავროს საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი პროდუქტად ითვლებოდა: „მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი კოლხიდისა არის" – გვიამბობს არქანჯელო ლამბერტი, მიუთითებს ასევე მეგრული ცვილის მაღალ ხარისხზე და განაგრძობს: „თურქი ვაჭრები აქედან გატანილ თაფლს დიდი მოგებით ჰყიდნენ სტამბოლში" (არ. ლამბერტი, 1937, გვ. 194-5). ცნობას, რომ თურქებს დიდი რაოდენობით გაქონდათ „თაფლი და თაფლის სანთელი", ადასტურებს ევლია ჩელებიც (ე. ჩელები, 1971, გვ. 95).

ამდენად, XVII ს-ში ძირითადად ვაჭრობდნენ კუთხეებისათვის დამახასიათებელი პროდუქტით.

სავაჭრო კავშირები და სავაჭრო საქონელი XVIII ს.

საქართველოში ერთიანი, ეროვნული ბაზრის ფორმირებას ისტორიოგრაფია უკავშირებს XIXს. 30-40-იან წლებს. სათანადო ისტორიული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავიზიაროთ მკვლევართა იმ ნაწილის მოსაზრება (მ. სამსონაძე, შ. მესხია), რომელთა შრომებში ქართული ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი იწყება XVIII ს. II ნახევარში.

ეროვნული ბაზრის შექმნის პროცესს საფუძვლად უდევს მყარი ფულად-სასაქონლო, სავაჭრო კონტაქტები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის.

XVIII ს-ში ბაზრის როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში შესამჩნევად იზრდება, შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება ფულზე. „ბაზართან კავშირი გარდაუვალი და აუცილებელი ხდება... ბაზარზე, ე. ი. რაც რჩებოდა ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ... იყიდებოდა უმეტესად ადგილობრივი საქონელი“ (ირ. ანთელავა, 1977, გვ. 54-58).

საქართველოს ქალაქებში პერიოდულად იმართებოდა დიდი ბაზრობები. XVIII საუკუნეში ყოველკვირეულ ბაზრობებს რეგულარული ხასიათი ჰქონდა. ასეთი იყო ხონის ცნობილი პარასკეობა „ყოველ პარასკევს იმერეთის დაბა ხონში ეკლესიის გეერდით დიდ მოედანზე“ თავს იყრიდა მყიდველი და გამყიდველი (გიულდენშტედტის მოგზაურობა, 1962, გვ. 153-155). „მოგზაურობა“ გვამცნობს სხვა დიდი ბაზრობის ადგილს ეს არის რაჭის ქალაქი ონი, რომლის ბაზარზე სავაჭროდ ჩრდილო კავკასიელი მთიელებიც კი ჩამოდიოდნენ (იქვე, გვ.107).

განსახილველ პერიოდში ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობის საზღვრები უკვე გარღვეულია. საბაზრო კავშირურთიერთობებისა და ფულად-სასაქონლო ტენდენციების ზრდის გამო მწარმოებელი

გლეხობა ხშირ შემთხვევაში საბაზროდ ამზადებს პროდუქციას.

ბაზარზე გასატანად პროდუქცია მზადდებოდა მსხვილ ფეოდალურ მამულებში, XVIII ს. II ნახევარში ჩნდება ახალი ტიპის მემამულე, რომელმაც ცხოვრების მოთხოვნების თანახმად, ბაზრისა და ფულის მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად გარდაქმნა თავისი მამული. ასეთი მემამულეები საბაზრო მოთხოვნილებების ზრდის ტემპებს უფარდებდნენ მამულებში პროდუქციის წარმოებას.

აღმოსავლეთ საქართველოში ბაზართან მჭიდრო კავშირით აწარმოებდნენ თავიანთ მეურნეობას გორჯასპი და მანუჩარ თუმანიშვილები, დავით თარხნიშვილი, ოსეფა ყორღანაშვილი.

ასეთი გარდაქმნილი მამულებიდან ბაზარზე გაჰქონდათ არა მარტო ზედმეტი პროდუქტი, არამედ მათში პროდუქცია ბაზარზე გასატანად მზადდებოდა (ირ. ანთელავა, 1977, გვ. 61; გ. აკოფაშვილი, 1966).

დასავლეთ საქართველოში ახალი ტიპის მემამულედ (არა მარტო მემამულედ) გვეელინება აზნაური ნიკოლოზ ქორქაშვილი. იგი, გარდა იმისა, რომ სავაჭრო პროცესებში აქტიურადაა ჩაბმული, არის მდიდარი მევახშე და აქტიური საქმოსანი, ამავე დროს იგი ეკუთვნოდა იმ მემამულეთა რიცხვს, რომელთა მამულიც სწორედ საბაზროდ ამზადებდა პროდუქტს (ქიმ - 2214, 2233).

მსხვილ მეურნეობაში პროდუქციის ბაზარზე გასატანად დამზადება ხელს უწყობდა ახალი ტენდენციების განვითარებას საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ბაზარზე მოთხოვნილების ზრდამ შესაბამისად ფულზე მოთხოვნილება გაზარდა. ამ საკითხების მკვლევარი ირ. ანთელავა მიუთითებს, რომ საგლეხო ბეგარაში ფულად გადასახადს XVIII ს. II ნახევარში ეჭირა მეორე ადგილი პროდუქტადი გადასახადის შემდეგ. ამავე დროს განვითარების ტენდენცია ფულადი

რენტის სასარგებლოდ იხრებოდა (ირ. ანთელავა, 1977, გვ. 141).

მაღალგანვითარებული სასაქონლო წარმოების არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ XVIII ს. 80-იან წლებში იმერეთის აჯანყებული გლეხობის ძირითადი მოთხოვნა იყო ყველა საბატონო ბეგარა-გამოსაღებების ერთიანი ფულადი გადასახადით შეცვლა (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 18).

XVIII ს. II ნახევარში, სხვა ნივთებთან ერთად ჩნდება ფული გასათხოვარი ქალი მზითვის წიგნებში (მზითვის წიგნები, 1974, გვ. 105, 115).

მწარმოებელი მასის ბაზართან კონტაქტის მაჩვენებელია გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის საწყისი პროცესი XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისისათვის. „დიდი რაოდენობით საბაზრო პროდუქციის დამზადებას მდიდარი გლეხები აღწევდნენ როგორც ოჯახის წევრების დასაქმებით, ისე დაქირავებული შრომის გამოყენებით“ (ირ. ანთელავა, 1977, გვ. 166).

სოფლად მდიდარი, ფულიანი გლეხების გაჩენა მიუთითებს გლეხთა კავშირის გაძლიერებას ბაზართან. მწარმოებელი კლასიდან გამოიყოფა შედარებით გამდიდრებულ გლეხთა ფენა, რომელიც თანდათან იძენს პარტახტებს, გლეხებსაც კი, და საბოლოოდ ახატდება. ეს ჩანს XVIII ს-ის ბოლოს ლაზარე მაჭარაშვილის მაგალითზე, რომელმაც ისარგებდა თავისი ბატონის ვახუშტი წერეთლის გაღარიბებით და განთავისუფლებას მიაღწია (მ. სანაძე, 1979, გვ. 136).

დოკუმენტურ მასალასა და მოგზაურთა ცნობებში წარმოდგენილი სურათი, მართალია დაფანტული ხასიათისაა და არასრული, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში სავაჭრო საქონლის რაობისა და მისი მიმოქცევის შესახებ.

XVIII ს. დასავლეთ საქართველოში შეიმჩნევა შრომის ტერიტორიული განაწილების აშკარა ნიშნები,

სხვადასხვა კუთხის დახელოვნება ამა თუ იმ პროდუქციის დამუშავებაში, რომელთა წარმოება ხშირად ამ კუთხისათვის დამახიათებელ ბუნებრივ სიმდიდრესთანაა დაკავშირებული.

ბაზრობაზე გასაყიდად გამოტანილი საქონლის სადაურობა ხშირად საბუთებში ხაზგასმული იყო: „ადგილობრივი რუხი მაუდის ქუდები... დამარილებული ზურგიელი... კანაფის თოკი და ხის ჯამები, ცხვრები, აქაური ცხენები და ზოგი სხვა საქონელი" — ლაპარაკია ხონის ბაზრობაზე (გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, 1962, გვ. 153-55).

მოცემული პერიოდის იმერულ საბუთებში, რომლებშიც ვპოულობთ ცნობებს სამეფოდან გატანილი საექსპორტო საქონლის შესახებ, უფრო ხშირად გვხვდება აბრეშუმის ქსოვილის ისეთი სახეობა, როგორიცაა იმერული თავთა. „შეღებილი თავთა" იყიდებოდა როგორც ადგილზე, ოვით იმერეთში. „ასევე ვიწრო და თხლად ნაქსოვი სხვადასხვა ფერის თავთა" იმერეთიდან ინტენსიურად შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოში (ხელნაწერთა ინსტიტუტი ღ შ 110, გვ. 7). თავთის ქსოვილი დიდი რაოდენობით იყიდებოდა ქალაქ გორში, სადაც იმერლებს თავისი დუქნები ჰქონდათ (ცსსა, 254, I, საქმე, 131, გვ. 299).

გიულდენშტედტის ცნობით, იმერეთში „ბამბას ცოტას თესენ, აბრეშუმი კი ბევრი მოჰყავთ" (გიულგენშტედტი, 1962, გვ.157). ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „აბრეშუმს აკეთებენ და ქსოენ ლარს არა დიდ-ფასსა, და ხმარობენ სხვებისაცა. ეგრეთვე ბამბასა და კანაფთაგან - ტილოსა, არამედ სხვათა ქვეყანათაგანი უმჯობესნი არიან" (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941, გვ. 145).აბრეშუმისა და ფარჩის ქსოვილის ტანსაცმელს მზითვად ატანდნენ ახალგაზრდა იმერელ ქალებს (მზითვის წიგნები, 1974, გვ. 116).

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება ფარჩის ქსოვილზე იგრძნობოდა. რუსეთის იმპერატორისადმი სოლომონ II-ის მიერ გაგზავნილ „სათხოვარ მუხლნ"-

ში ხაზგასმულია ფარჩის ქსოვილის უბაჟოდ გატარების პიროლა (ხელ. ინსტ. - Sd - 5032).

აბრეშუმი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისათვის ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. XVIII ს. II ნახევარსა და XIXს. დასაწყისში აბრეშუმი ხშირად გაჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსეთის ქალაქებში. საფრანგეთის სავაჭრო აგენტი XVIII საუკუნეში, პეისონელი აღნიშნავს: „ოსმალეთის საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გასატან საქონელს წარმოადგენს აბრეშუმი, რომელიც აქ ბლომად არის " (ს. კაკაბაძე, 1941, გვ. 116)

ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში საკმაო ოდენობით მოიპოვებოდა ბამბა და ბამბეულის ნაწარმი.

სამეგრელოში ამზადებდნენ თამბაქოს, ბამბისა და უხეში ტილოს ქსოვილებს (ცსსა, 16, 1,ს.1604, გვ. 4-5).

„მართალია დასავლეთ საქართველო'ში ბამბეულის საფეიქრო წარმოება ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ სამაგიეროდ აქ მეტად განვითარებული იყო აბრეშუმისა, სელისა და სელის ძაფის წარმოება..." (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 188). რუსი ვაჭარი შაგუბატოვი, იმ საქონელთა შორის, რომელიც უხვად მოიპოვებოდა დასავლეთ საქართველო'ში და რომლის წარმოებით დახელოვნებულია სამეფო, აბრეშუმსა და ბამბასთან ერთად იხსენიებს სელსა და სელის ძაფს (ხელ. ინს. ROS-110, გვ. 7). სელის წარმოება ძალზე სასარგებლო იყო. მისგან ზეთი მზადდებოდა, რომელიც საკვებად და გასანათებლად გამოიყენებოდა. 1789 წელს მაქსიმე ქუთათელის გადმოცემით, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმი, ბამბა და წმინდა ხარისხის სელი მოჰყავთ იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებში გააქვთ გასაყიდად (Цагарели, 1891, ст. 29).

როგორც ჩანს, იმერეთსა და გურიაში ამზადებდნენ კარგი ხარისხის ტილოს. ვიმოწმებთ კვლავ მაქსიმე მიტროპოლიტს, რომელიც გვამცნობს, რომ იმერეთი თურქეთს ყოველ მესამე წელს კომლზე თითო საპერ-

ანგე ტილოს ან ზოგჯერ მის საფასურს ერთ აბაზს უხდიდა (იქვე, გვ. 14-15). „როდესაც იმერეთი ოსმალი ს ხელთ იყო - წერს XIXს. I მესამედში მამია გურიელი იმ ჟამზე აიღეადნენ სახეანთქროთ გურიიდან კომლის თავზე თვითო აბაზის ტილოს" (Акты, 1868, ст. 539) ტილო ზოგჯერ ბეგარის სახით აიღებოდა (ხელ. ინსტ Sd-1568) 1791 წლით დათარიღებული საბუთით ქუთაისელ ვაჭარს მოზდოკში მიაქვს 3 ათასი არშინი ტილოს ქსოვილი (გამრეკელი, 1968, გვ. 246).

საწერეთლო ცნობილი ყოფილა ლურჯი ლეინის წარმოებით (რაზეც მეტყველებს გრიგოლ წერეთლის ბრძანება მოვაჭრეებისადმი) (ხელ. ინს.-Sd-1305).

დასავლურ ქართულ საეაჭრო საბუთებში ხშირად იხსენიება სხეადასხვა სახის ბეწვეული, განსაკუთრებით კი მელიისა და კვერნის (ხელ. ინს. ROS-110, გვ.7).

ფრანგი პეისონელი აღნიშნავს, რომ „ოსმალეთის საქართველოს გამოაქვს დაახლოებით 100 ათასი ოყა ცვილი " (ს. კაკაბაძე, 1941, გვ. 118).

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს კუთხეები დახელოვნებული იყვნენ ძირითადად იმ პროდუქციის წარმოებით, რომელიც მათ ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენდა.

რაჭა რკინის დამუშავებით იყო ცნობილი. „რაჭაში წარმოებდა რკინის დამუშავება და მას თავისი საკუთარი ნედლეულის კერები გააჩნდა... მთელი რაჭა და იმერეთი აქაური (სოფ. წედისი) რკინით ჯერდებოდა" (ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953, გვ. 22-27). „სარკინეთი" ეწოდება რკინის მწარმოებელ მთელ ხეობას, ხოლო მეწარმეთ – „რკინის კაცები" (ნ. რეხვიაშვილი, 1953, გვ.8). ამ ხეობას ეკუთვნოდა რკინის მადნით მდიდარი სოფლები წედისი და ონი... ამ სოფლებისა და ასევე ტყიბულის მცხოვრებლებს დადებული ჰქონდათ რკინის ბეგარა „სათხოვარი" (დ. მეგრელაძე, 1964, გვ. 108-9). გიულდენშტედტის „მოგზაურობაში" ვკითხულობთ, რომ სოფ. წედისში

დამზადებული რკინის იარაღები იყიდებოდა როგორც თვით რაჭაში, ონის ბაზროზაზე, ასევე იცვლებოდა „კახეთში და სხვაგან პირუტყვზე, ხორბალზე და მისთანებზე" (გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, 1962, გვ. 105-107).

იმერეთში ოქროსა და ვერცხლის მადნების არსებობაზე მიუთითებს მაქსიმე ქუთათელი (Цагарели, 1891, ст. 29).

სვანეთი ცნობილი იყო ტყვია-წამლის წარმოებით. აქ მოიპოვებოდა თვითნაბადი გვარჯილა, რითაც სვანები ამზადებდნენ დიდი რაოდენობით დენთს. სვანური გვარჯილა და ტყვია-წამალი აღმოსავლეთ საქართველოშიც ხშირად იყიდებოდა (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 56, 114).

დოკუმენტურ მასალაში მოხსენიებულ იმ პროდუქციაში, რომელიც გასაყიდად გამოაქვთ ბაზარზე, ერთმანეთში ვაჭრობენ ან გააქვთ აღმოსავლეთ საქართველოში, დასახელებულია საკვები პროდუქტების ნაირსახეობა, განსაკუთრებით თაფლი, ღვინო, თამბაქო, ღომი, სიმინდი, თევზეული და სხვა (ცსსა, 16, 1, ს. 1604, გვ. 4-5).

საგულისხმოა, რომ იმერული ღვინო, რომელიც ხარისხით ბევრად ჩამოუვარდება კახურს, კარგად იყიდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, რაც მისი სიიაფის გამო ხდებოდა. იმერულ იაფ ღვინოს ურევდნენ კახურში და ისე ხმარობდნენ (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 45). „იმერული ღვინო ვიყიდე თუნგი, კახურ ღვინოში გადავურიე" ვკითხულობთ ერთ-ერთ დანახარჯის ნუსხაში (ხელ. ინს.-Hd-3556).

სამეგრელოში ბაზარზე გასატანად იწარმოებოდა: თაფლი, ღომი, ბრინჯი, ტილო და ა. შ. (ი. მეუნარგია, 1939).

მეფის ხელისუფლება ზრუნავდა ფასების მოწესრიგებაზე, განსაკუთრებით ეს ეხებოდა ინტენსიური ბრუნვის, პირველი მოხმარების საგნებს.

1808 წლის სოლომონ II-ის „საქონლის ფასების განწესება" ჩამოგვითვლის ყოველგვარ საკვებ პროდუქტს: „ღვინო საპანე სამ მარჩილათ და სამი დოქი ერთ რუბათ". დაწესებულია ფასები შინაურ ფრინველსა და ცხოველზე. მოხსენებულია თევზეულის ნაირსახეობა, „ჩარექი ხიზილალა რუბათ". იმერეთის ბაზრებზე იყიდება ასევე საოჯახო თიხის ჭურჭელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ა.შ.

ამდენად, მეფე აწესრიგებს ბაზრის ფასებს და ბრძანებს: „ამ ზემო წერილის ნივთებზე განწესებულის ფასზე რომელიც მეტათ გაყიდის, როგორც მეფისა და ქვეყნის ორგულს ისე უნდა მოეკითხოს და ასი მარჩილი ჯარიმა გარდახდეს და კიდევ, რომელიც ამ ფასგადაკვეთილ ნივთებს აქედამ სხვა ქვეყანაში გასაყიდლათ წაიყვანს და წაიღოს, საქონელი რაც იყოს, დამჭირავს და ასი მარჩილი ჯარიმა ბატონს მეფეს მიერთვას" (ნ. ბერძენიშვილი, I, 1938, გვ. 261).

საინტერესოა ერთი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოსათვის, რომელიც თურქეთის იმპერიის მიერ მთლიანად იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან, უცხო არ იყო ევროპული საქონელი. ამ ფაქტის დასტურად ვიმოწმებთ გიულდენშტედტს, რომელიც აღნიშნავს, რომ ხონის ბაზრობაზე იყიდებოდა „ჭრელი არშიები ევროპული ტილოსი" (გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, 1962, გვ. 153). ქუთაისის ბაზარზე ხშირად ნახავდით ირანული აბრეშუმისა და სხვა ქსოვილებს. პოლკოვნიკი მერლინი, ჩამოთვლის რა საქონელს, რომელიც სისტემატურად შედიოდა სამეგრელოდან ქუთაისში გასაყიდად, ასახელებს: თამბაქოს, ბამბისა და უხეში ტილოს ქსოვილებს (ცსსა, 16, 1, ს. 1604, გვ.4-5]

ინტერესს იწვევს მზითვის წიგნები, სადაც ტანსაცმლის უსხაში გვხვდება „ფრანგული" პერანგი, „განდიდურის ქათიბი" და ა. შ. (მზითვის წიგნები, 1974, გვ. 105-7).

XVIII საუკუნის საქართველოში, ქართულ ბაზრებში გასაყიდად გამოტანილი საქონლის რაობის გაცნობა ნათლად გვიჩვენებს კუთხეების დახელოვნებას სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაში.

რაჭაში მოგზაურობისას გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ონში სავაჭროდ მოდიან: „ბამბის ქსოვილებით ქართლიდან და მარილითა და ფეტვით, ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგონიდან ბალყარელები, ბასიანელები და აგრეთვე სვანებიც მოდიან" (გიულდენშტედტი, I, 1962, გვ. 107).

მოგვიანებით (XIXს. დასაწყისი) იგივე სურათს გვიხატავს პლატონ ზუბოვი: „ყველა ეს ხალხი (იგულისხმება ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ხალხები) აწარმოებენ ვაჭრობას იმერეთთან. პატარა სავაჭრო დაბა ონი, იმერეთის მაზრაში რაჭა, ამ ვაჭრობის მთავარი პუნქტია... ისინი იძენენ აქ მარილს, ბამბეულის ნაწარმს და ოჯახისათვის აუცილებელ წვრილმან საქონელს" (Картина, 1908, გვ. 135).

ფოთის ბაზრობაზე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან მიდიოდნენ. აქედან ზღვით შემოტანილი საქონელი აღმოსავლეთ საქართველოშიც გადაჰქონდათ, ფოთის გარდა ზღვით შემოტანილი საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში ბათუმიდან, გონიოდან და ხოფიდანაც გაჰქონდათ" (თ. ბერაძე, 1981, გვ. 183).

XVIII საუკუნის საქართველოში ქართულ ბაზრებში გასაყიდად გამოტანილი საქონლის რაობის გაცნობა ნათლად გვიჩვენებს კუთხეების დახელოვნებას სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაში.

XVIII ს. II ნახევრის დასავლეთ საქართველოში კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობის ადგილს თანდათან იკავებს ცოცხალი საბაზრო კავშირები და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის რეგულარული ფულად-სასაქონლო ურთიერთობები.

XVIII ს. II ნახევარში იმერეთის სამეფოს მეტად ცხოველი საბაზრო ურთიერთობები აკავშირებს

ქართლ-კახეთთან. მიუხედავად მძიმე, ზოგჯერ დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, ორ ქართულ სამეაროს შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ინტენსიურ სავაჭრო კავშირებში გამოიხატებოდა, რაც მტკიცე ნიადაგს ქმნიდა ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის.

ქართლ-კახეთის სამეფოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი, არსებობს მაღალგანვითარებული სასაქონლო წარმოება (მ. სანაძე, რ. კაშია, მაცნე, №2, 1989, გვ. 77, 81).

საბაზრო ურთიერთობები ქართულ სამეფოებს შორის ატარებდა არა შემთხვევით, არამედ მუდმივ, ინტენსიურ ხასიათს, სავაჭრო კონტაქტები არ წყდებოდა თვით გართულებული პილიტიკური მდგომარეობის პირობებშიც კი. XIX საუკუნის დასაწყისში, კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ციციანოვის ცნობით, იმერეთსა და ქართლს შორის სავაჭრო ქარავნები თითქმის ყოველდღე მიმოდიოდნენ (Акты, 1899-1904, ст. 241).

„თბილისის ბაზრობაზე ქალაქში შემავალი ექვსი კარის საშუალებით საქართველოს ყველა კუთხიდან მოედინებოდა საქონელი, XVIII ს-ში ქართლის ტერიტორიაზე დადასტურებელი ხუთი ცენტრალური სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალიდან ერთ-ერთი გზა შედიოდა თბილისში ჩრდილო დასავლეთიდან, ბათუმიდან სამცხის გავლით, ახალციხით და აწყურით, გორისა და მცხეთის ჩავლით, ეს სამიმოსვლო გზა შტოდებოდა ორ პუნქტში, პირველი ურბნისის უფრო სამხრეთ-დასავლეთით მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ, სურამის უღელტეხილით გადიოდა დასავლეთ საქართველოში. მეორე გზა კი აწყურის ჩრდილოეთით, ოძრახეს გავლით დასავლეთ საქართველოსაკენ მიიმართებოდა. ეს გზა ქართლს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა" (მ. ქიქოძე, 1965, გვ. 182-23).

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობას ყოველთვის მფარველობდა ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება. განსახილველ ხანაში ქართლ-კახეთის სამეფო საბაჟო ტარიფის მიხედვით, ბაჟი არ აიღებოდა იმერეთიდან და რუსეთიდან შემოსულ საქონელზე (ნ. ქოიავა, 1954, გვ. 338). ბაჟს არ იხდიდნენ არა მარტო იმერეთიდან ჩამოსული ვაჭრები, არამედ იმერული საქონლით მოვაჭრენიც. „ქართლის საბაჟოებში იმერეთიდან შემოტანილ იმერულ საქონელზე გორელი ვაჭრები ბაჟს არ იხდიდნენ" (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 52).

XVIII ს. 80-იანი წლებითაა დათარიღებული გორელი ქეთხუდების საჩივარში მეფისადმი, სადაც ლაპარაკია იესე ამილახვრის თავნებობის შესახებ, გორელი მოქალაქეების უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია „ხორაგზე ბაჟის დადება ახალციხიდამ და იმერეთიდამ მოსულის" (ივ. ჯავახიშვილი, II, 1974, გვ. 143). იმერეთიდან თბილისში შედიოდა: „გარდა რუსის ჯარისათვის საჭირო ნივთებისა, მარილი, რკინა, მაუდი, ფარჩა, სხვადასხვა აბრეშუმის ნაწარმი" (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 47, საქ. 74).

ქართლში დიდი რაოდენობით იყიდებოდა იმერეთიდან სელი და სელის ძაფი, თავთა, სხვადასხვა ბეწვეული და საკვები პროდუქტი, ე. ი. ძირითადად ის პროდუქცია, რის წარმოებითაც დახელოვნებული და მდიდარი იყო.

თბილისის ბაზარზე მოთხოვნილება იყო დასავლურ ქართულ საქონელზე. 1801 წელს შედგენილ საბაჟო ტარიფში ჩამოთვლილია საქონელი, რომელიც კარგად იყიდებოდა: „ფარჩა, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი" და ა. შ. (ნ. ქოიავა, 1954, გვ. 333).

მოწონებით სარგებლობდა იმერეთიდან შეტანილი: „მელიის, კვერნის ბეწვი... ნედლი და ამოხვეული აბრეშუმი... სხვადასხვა ფერის თავთა, რომელსაც კანაფისაგან ამზადებენ, ცვილი და სანთელი, ცხვრის ტყავები, სქელი და თხლად ნაქსოვი ტილო, სელის

მსხვილი ძაფი და ზურგიელი" (ხელ. ინს. – ROS 110, გვ. 7).

XVIII ს. თბილისის სავაჭრო-სახელოსნოებში არც თუ იშვიათად ჩანდნენ ხელოსნები დასავლეთ საქართველოდან (ხელ. ინს. - Qd-506).

ინტენსიური სავაჭრო კონტაქტები აკავშირებდა იმერეთის სამეფოს შიდა ქართლთან, გორში იმერლების გარდა არავის ჰქონდა სავაჭრო დუქნები.

დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა აღმოსავლეთიდან შეტანილი საქონელი. ჩვენთვის საინტერესო მასალას შეიცავს ერეკლე II-ის წერილი იულონ ბატონიშვილისადმი, რომლითაც ვიგებთ, რომ ელისბარ ერისთვიშვილს გაუგზავნია გასაყიდად იმერეთში დიდი რაოდენობით „მძიმე ლულა ფარჩები" (ცსსა, 1448-1343).

ქუთაისის ბაზარზე მოწონებით სარგებლობდა თბილისში დამზადებული იარაღები: თოფები, ხმლები, ტყვია-წამალი და ა. შ.

ხონის ბაზარზე შედიოდა ქართლ-კახეთიდან ჩამოტანილი: „წითელი და თეთრი ფერის ბიაზი, მაუდის ნაწარმი, გადასაფარებლები, ჭურჭელი და ასე შემდეგ" (Картина, 1908, ст. 259) ასევე: „სახიანი ბამბის ქსოვილები თბილისის ფაბრიკებიდან... ზღვის მარილი ყირიმიდან... ფოთზე გამოვლით. დამარილებული ზურგიელი სალიანიდან და თბილისიდან" (გიულდენშტედტი, I, 1982, გვ. 153-155)

ვფიქრობთ, დოკუმენტური მასალა ნათლად ასახავს XVII ს. სავაჭრო, საბაზრო კონტაქტების ინტენსიურ ხასიათს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის.

XVIII ს. II ნახევარში შრომის გეოგრაფიულმა დანაწილებამ, სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოება-დამუშავებაში კუთხობრივი დახელოვნების პროცესმა და საქართველოს მხარეებს შორის არსებულმა მჭიდრო სავაჭრო კავშირურთიერთობამ მტკიცე

საფუძველი შექმნა ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის.

სავაჭრო ამხანაგობები

XVIII ს. II ნახევრის სავაჭრო ოპერაციების გაცნობისას საბუთებში სშირად ვხვდებით ეკონომიკურ კორპორაციას — „ამხანაგობას".

სავაჭრო ამხანაგობა უპირისპირდება შუა საუკუნეების ფეოდალური ქალაქების ორგანულ ნაწილს — ამქრის ინსტიტუტს და თანდათან იჭერს გაბატონებულ მდგომარეობას. ამხანაგობა დგებოდა თვითონ ამქრის შიგნითაც (კ. კუცია, 1984, გვ. 74-77). ამ შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადად ხელოსანთა ამხანაგობებს „ამქარი არავის უშლის სახელოსნოს მოწყობას (მიუხედავად იმისა, ამქრის წევრია თუ არა მომწყობი), არ ზღუდავს მათ რიცხვს (ვისაც სურს შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენი დუქანი იქონიოს), მაგრამ იმით, რომ ყოველი დუქნის მოწყობაზე ამქრისათვის გარკვეულ გამოსაღებს აწესებს და მის მოცულობას თანდათანობით ზრდის, ამით აფერხებს ამ პროცესს" (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 233).

XVIII საუკუნის II ნახევარში დადასტურებული ამქრის რღვევის საწყისი პროცესი წარმოადგენს სავაჭრო „ამხანაგობათა" განვითარების წინაპირობას.

XVIII საუკუნის საამხანაგო სიგელების განხილვა გვაფიქრებინებს, რომ სავაჭრო ამხანაგობის წევრები არაფრით არ არიან დაკავშირებულნი ამქრებთან ან მათგან დამოკიდებულება მეტად უმნიშვნელოა და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხელთ არსებულ საამხანაგო დოკუმენტებში არ არის მითითებული საამქრო გადასახადები.

XVIII ს. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განხილვისას მივედით დასკვნამდე, რომ მოცემულ

პერიოდში, პრიორიტეტი მოიპოვა ვაჭართა ახალმა კორპორაციამ ამხანაგობამ.

„ამხანაგობების" რაობისა და სტრუქტურის გაცნობა აუცილებელია XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლისათვის.

„ამხანაგობა" იყო საქმიანი ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად, განსაზღვრული იყო თითოეული ვაჭრის მიერ ამხანაგობაში შეტანილი თანხის ოდენობა.

სავაჭრო ამხანაგობებზე ცნობას გვაწვდის დავით ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავს, რომ ამხანაგობა წარმოებდა საერთო უფლებებისა და პირობების მიხედვით. სავაჭრო ბრუნვა მიმდინარეობდა საერთო კაპიტალით, ხოლო მოგება თანაბარ ნაწილებად იყოფოდა (დ. ბაგრატიონი, 1959, გვ. 258). ეს განმარტება ზოგადი ხასიათისაა. საამხანაგო საბრუნავი თანხა „საერთო კაპიტალი" იყო, მაგრამ იგი ყოველთვის საქმეში თანაბარი ოდენობით შეტანილ თანხას არ ნიშნავდა.

ქართული დუკუმენტური მასალა გვიჩვენებს საამხანაგო საქმეში შესული პირების აშკარა ქონებრივ სხვაობას. შედარებით შეძლებულ პირს საქმეში შეჰქონდა „თავნი". ძირითად თანხას ის დებდა, ხოლო ვაჭრობას უფრო წვრილი ვაჭარი აწარმოებდა. რაც შეეხება მოგებასა თუ ზიანს, იგი თანაბრად იყოფოდა ამხანაგებს შორის. საქმის ასეთი განაწილება თანხის მფლობელ და საქმის მკეთებელ წვრილ ვაჭარს შორის სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია ამხანაგობის უმაღლეს ფორმად (კ. კუცია, 1984, გვ. 75).

საამხანაგო საქმეში შესულ პირებს, როგორც აღვნიშნეთ, იურიდიულად ერთნაირი უფლებები და ამავე დროს, ერთნაირი ვალდებულებებიც აკისრიათ.

„ყოველი ამხანაგობისა და პირობის წიგნი, მოვაჭრე ამხანაგთა... შორის დადებული, აღსრულდებოდა სრულს ძალსა ზედა და ვერა რომელი მხარე

ვერ შეძლებდა ამის დარღვევას და ყოველთვის მოიქცეოდნენ მათ შორის ქმნილის წერილისამებრ" (ი. დოლიძე, II, 1965, გვ. 566).

XVIII ს. II ნახევრის ამხანაგობების შიგნით აშკარად გამოხატულია ქონებრივი დიფერენციაცია „თავნის" მფლობელ საქმოსანსა და მასზე დამოკიდებულ, საქმის მკეთებელ პირს შორის. ძირითადი თანხის თავნის მფლობელი მოქალაქე საქმეში მხოლოდ ფულს აბანდებს, იგი ადგილზე (თბილისში, ქუთაისში და ა.შ.) იმყოფება, ხოლო სავაჭრო ოპერაციას აწარმოებს პირი, რომელსაც ამხანაგობაში გაცილებით ნაკლები (თითქმის ნახევარი) თანხა შეაქვს და თავისი შრომით ანაზღაურებს თანხის მეორე ნახევარს. ვაჭრობიდან მიღებული მოგებასა თუ ზიანზე ამხანაგები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

ამ ფაქტზე მეტყველებს ქუთაისის მუზეუმში დაცული რამდენიმე „საამხანაგო წიგნი". 1807 წელს შემდგარა „ამხანაგობა" ქუთაისელ ვაჭრებს – ნიკოლოზ ქორქაშვილსა და გუარაშვილ პეტროზას შორის. „სარმია" ანუ თავნი „ათას ხუთასი ყურუში" ქორქაშვილს ეკუთვნის. პეტროზას ამხანაგობაში შეაქვს „ხუთასი ყურუში" და საქონელიც სავაჭროდ მას მიაქვს – „ამ თეთრით მე პეტროზამ უნდა ვიმგზავრო სიმართლით და სიმართლით გავისარჯო... რაც ღმერთმა მოგება მომცეს, ნახევარი ნიკოლოზისა და ნახევარი ჩემი" – ეკითხულობთ საბუთში ((ქიმ-1993).

ანალოგიური შინაარსისაა იმავე, 1807 წელს დადებული „აფხანაკობის" წიგნი ჩიკვაშვილ ისხაკასა და ნიკოლოზ ქორქაშვილს შორის. ამ უკანასკნელს ეკუთვნის სავაჭრო საქმეში დაბანდებული თანხის დიდი ნაწილი – „ცხრაას ორმოცი ყურუში". ვაჭრობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, მოგების ნახევართან ერთად, მასვე რჩება საქმეში შეტანილი თავნი „მოგება საზიაროდ და მთავნი შენი არის...

რასაც მოიყვანს ღმერთი, სულყველა ორივესი არის" (ქიმ –1621).

თანხის მფლობელ და მოვაჭრე წვრილ ვაჭარს შორის საქმის ასეთ განაწილებაზე მეტყველებს 1809 წლის საბუთი, ამხანაგობაში შეტანილი თავნი „ხუთასი ქესა ოსმალოს თეთრი" ნ. ქორქაშვილს ეკუთვნის, ხოლო მასთან შეამხანაგებული ნალბანდიანთ ოსეფას ძე სტეფანა საქმეში აბანდებს „ერთ ქესა თეთრს" და სავაჭროდ საქონელი მას მიაქვს, ზიანი და სარგებელი ამ შემთხვევაშიც თანაბრად იყოფა (ქიმ – 1922). ცნობილია, რომ ეროი ქესა 30 თუმანს უდრიდა (მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ.179).

როგორც მოტანილი მასალა გვიჩვენებს, დასავლურ ქართულ „ამხანაგობებში" ხშირად მეორდება ქუთაისელი აზნაურის ნიკოლოზ ქორქაშვილის სახელი, ამხანაგობაში შეტანილი ძირითადი საბრუნავი თანხა ყოველთვის მას ეკუთვნის.

1822 წელს დგება „შეკრულობის წერილი" ნიკოლოზსა და თომა აკოფაშვილს შორის სახელმწიფო „ოტკის" შესყიდვაზე. „სარმია ორივეს უნდა იყოს." – გვამცნობს საბუთი (ქიმ – 245).

ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა იჯარის ამხანაგობა, დადებული მელქონა მეფისაშვილთან. საკარაუდოა, რომ იჯარა კვლავ არყის დამზადებას შეეხება, რადგან, როგორც საბუთებიდან ჩანს, მეფისაშვილები სწორედ „ოტკას" აწარმოებენ (ქიმ – 2198; 2030).

ამხანაგობაში შეტანილი თანხა სუფთა მოგებასთან ერთად უბრუნდებოდა ძირითადი თანხის გამღებს ანუ თავნის პატრონს. ეს ფაქტი კარგადაა გამოკვეთილი თბილისურ საამხანაგო საბუთში და ჩვენც თვალსაჩინო მაგალითისა და შედარებისათვის განვიხილავთ მას. საბუთი 1787 წლითაა დათარიღებული და წარმოადგენს თბილისელი ვაჭრების ავთანდილასა და სტეფანას საამხანაგო პირობებს დარეჯან დედოფლის ამილახვართან, ოსეფა

ყორღანაშვილთან, რომელსაც ეკუთვნის თავნი ხუთასი ‹ოუმანი მოგება იყოფა თანაბრად. ამავე დროს ამხანაგობაში შეტანილი თავნი სუფთა მოგებასთან ერთად უბრუნდება ოსეფა ყორღანაშვილს: „მოგება რაც ღვთის მოცემით იყოს, ნახევარი... შენის ხუთასის თუმნის სარმაით შენ, ამილახვარმა ოსეფამ უნდა აიღოს, ნახევარი მოგება ჩვენ ავთანდილამ და სტეფანამ უნდა ავიღოთ და ჩვენში წორეთ უნდა გავიყოთ... ზიანი და ჯუქამიც მოგების კვალათ უნდა გავიყოთ..." (ცსსა, 1450. 24-60).

ანალოგიური შინაარსისაა სიგელი, რომელიც შეიცავს სტეფანე დათაშვილისა და თამარ დადიანის საქმიან გარიგებას, სადაც საბრუნავი სათავნო თანხა — „ასი თუმანი" დადიანის ქალს ეკუთვნის: „რაც მოგება მოვიდეს, ამ ზემო ხსენებული თეთრისა ნახევარი მოგება თქვენ ბატონი დადიანის ასულს უნდა მოგერთვას და ნახევარი მე სტეფანე დათაშვილსა და ეგრეთვე ზიანი... ნახევარ-ნახევარი არის" — ვკითხულობთ საბუთში (ხელნაწერთა ინსტიტუტი — H‹ - 1545).

წვრილ ვაჭართა კატეგორიას, რომელსაც ნაკლები თანხა შეაქვს და თავისი შრომით ანაზღაურებს დანარჩენს, ‹ᲛᲐ. მესხია „სავაჭრო აგენტებს" უწოდებს. (Ш. მესხია, II, 1983, გვ. 265).

ჩვენთვის უკვე ნაცნობი, ქუთაისელი ვაჭრის ნიკოლოზ ქორქაშვილის „სავაჭრო აგენტები" — ქურთოევი და მესარკიშვილი ძირითადად სტამბულში საქმიანობენ. მათი საქმიანი წერილები იძლევა საინტერესო ცნობებს იმდროინდელი იმერეთის საგარეო სავაჭრო კონტაქტების შესახებ.

საინტერესო მასალას გვაწვდის ვაჭარ ქურთოევის მიმოწერა ნ. ქორქაშვილთან. ანტონ ქურთოევი, რომელიც „ბატონისა და უფალის" მიერ წარგზავნილია თურქეთში სავაჭროდ, ახალციხიდან უგზავნის ნიკოლოზს წერილს, საბუთი სავაჭრო ანგარიშებს შეიცავს. ქურთოევი ხუთ თუმანს გადასცემს იმერელ

ვაჭარს, ვინმე ანდრიას, რომელსაც ახალციხეში თავისი ხულა აქვს. წერილით ატყობინებს ასევე, რომ ახალციხიდან არზრუმს მიემგზავრება საკაჭროდ (ქიმ – 1991).

შემდეგი წერილით იგი აცნობებს თავის ბატონს, რომ ზამთარს სტამბოლში გაატარებს და უჩივის საქონლის უხარისხობას (ქიმ – 2200).

შესასყიდი საქონლის სიძვირეზე იტყობინება ანტონ ქურთოევი წერილში „მადლობა ღმერთს უზიანო მოვრჩით" – ატყობინებს ბატონს სავაჭრო ოპერაციის წარმატებით დასრულების შესახებ (ქიმ – 2236).

მომდევნო წერილი კვლავ კომერციულ გარიგებას შეეხება. ქორქაშვილის „სავაჭრო აგენტი" სტამბოლში ხვდება სხვა ქუთაისელ ვაჭრებს (საისტორიო კრებული, I, 1928, გვ.115).

შემდეგ შეტყობინებაში მოხსენებულია ის საქონელი, რომელიც „მუშა ვაჭარმა" უნდა შეიძინოს – ესაა სირმიანი ფარჩა, რომლის საყიდლად ქურთოევი ითხოვს ათ ქესა თეთრს (ქიმ – 2181).

ქურთოევი სავაჭრო საქმიანობის მარტო ბრმა შემსრულებელი როდია. იგი ამავე დროს საქმიანი კომპანიონია და ხშირად აძლევს ბატონს საჭირო რჩევებს. „სტეფანას თამასუქები შეისყიდე ნახევარ ფასათ" – ურჩევს ერთ-ერთი საბუთით (ქიმ – 1900).

ასევე თამასუქების შეძენას ურჩევს სტამბოლიდან გამოგზავნილი წერილით. სხვა საბუთით კი სამღებროების იჯარაზეა საუბარი: „სამღებრო უყიდავი არა ქნა. ხონის იჯარა უყიდავი არა ქნა სამი წლით" – ვკითხულობთ საბუთში (ქიმ – 2200).

დოკუმენტური მასალა გვაცნობს ქორქაშვილის სხვა „სავაჭრო აგენტსაც" – ეს არის ანტონ მესარკიშვილი. იგი ქორქაშვილს ქუთაისში ჰყავს დატოვებული საქმეების მოსაგვარებლად, რასაც მესარკიშვილის ხელით ქუთაისიდან სოფ. ბაშში გაგზავნილი თამასუქები გვიდასტურებენ: „ვიანგარიშე, სულ დადგა ას ოცდაექვსი მანათი და დანარჩომი

ორმოცდა ოთხი მანათიც ამ პავლეს ხელით გაახლებ... მებრძანა, რომ პეტრე ხოჯოვნაშვილის თამასუქი მომეციო, ამ წლის თქვენი ფულის სარგებელი იქს ექვსას მანათსა... თავდებობის შემდეგ საეჭროდ წავდგები" (ქიმ – 2240).

საეჭრო ამხანაგობის წევრები საქმიანი წამოწყების დროს ხშირ შემთხვევაში იღებდნენ კრედიტს ან სხვა ამხანაგობის წევრებიდან ან ვინმე მევახშისაგან.

XVIII ს. II ნახევრითაა დათარიღებული საბუთი, რომლის თანახმად ორი იმერელი „ამხანაკი", საეჭრო საქმის დასაწყებად ვალს იღებს შეძლებული მოქალაქის - მუსტაფა ბარბაქაძისაგან (ნ. ბერძენიშვილი, II, 1953 გვ. 159).

საამხანაგო, საქმიანი სიგელები ზუსტ ანგარიშიანობას ეყრდნობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქუთაისელი ამხანაგების ხეჩინაშვილისა და ენოქაშვილის საკრედიტო თამასუქი დაეით ოცხელისადმი: „იმ თამასუქის თეთრიდან შენ და აბრამა გაიყარეთ და შენ ორასი ყურუში დაგედვა და ეს ორასი ყურუში შენგან ავიღე და სხვაში აბრამამ შემიჯერია და თამასუქის კერძოთ ეს ჯაზბი მომიცია, რომ შენთან საქმე აღარა მაქვს იმ თამასუქის თეთრი" (მ. სამსონაძე, 1980. გვ. 83).

ამხანაგობა იყო გარკვეული იურიდიული სტატუსის მქონე კორპორაცია, რომელსაც სამეფო ხელისუფლება იცავდა. ამხანაგობაში შესული პირების უფლებებს, საამხანაგო პირობების დარღვევის შემთხვევაში, ქალაქის მოხელეები არკვევდნენ. ამ ფაქტის დასტურად თბილისურ საბუთს მოვუხმობთ, სადაც ნათლად ჩანს, რომ საამხანაგო საქმეს თამასუქის დაკარგვის გამო, მეფის სამართალი არჩევდა (დ. უჩანეიშვილი, 1967, გვ. 95-56).

ამდენად, ვფიქრობთ XVIII ს. II ნახევარში საეჭრო ურთიერთობებში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს საეჭრო კორპორაციას – ამხანაგობას.

ზემოთ მოტანილი დოკუმენტური მასალა იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ XVIII ს. II ნახევარში სიტყვა „ამხანაგობა" -ს (რაც თანაბარ უფლებებს ნიშნავს) უკვე დაკარგული აქვს თავისი შინაარსი. საამხანაგო საქმეს წარმართავს ძირითადი თანხის – თავნის მფლობელი პირი, ხოლო უშუალოდ სავაჭრო ოპერაციას ვაჭარი ეწევა. ამხანაგობით დაკავშირებული პირების მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია ნიადაგს უქმნიდა მოსალოდნელ სოციალურ ცვლილებებს.

სავაჭრო კაპიტალი თავისი განვითარების პირველ ეტაპზე, როგორც ცნობილია, მჭიდროდ უკავშირდებოდა სავახშო კაპიტალს. ფეოდალური ურთიერთობის რღვევის საწყისი პროცესისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა ნათლად გამოვლინდა VXIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისის საქართველოში. ვაჭარი ზოგჯერ მთლიანად იყო დამოკიდებული მდიდარ მევახშეზე. ქართული ისტორიული დოკუმენტები ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, რომ ცალკეული ვაჭრები თუ სავაჭრო ამხანაგობების წევრები საქმის დაწყებისას ხშირ შემთხვევაში იღებდნენ კრედიტს მევახშისაგან.

მევახშეობა, პროცენტით თანხის გაცემა, ფეოდალური სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის ორგანული ნაწილი იყო. შუა საუკუნეების ფულადსასაქონლო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა გვიანფეოდალურ ხანაში იცვლის თავის ფორმას. ვფიქრობთ, განსახილველი ხანის სავალო თამასუქებში ნათლადაა ასახული ფეოდალური ურთიერთობების რღვევის პროცესი, მიწათმფლობელთა კლასის გაღატაკების ნიშნები და მათი უძრავი ქონების გადასვლა მევახშის ან ვალად თანხის გამცემის ხელში.

XVIII ს. II ნახევარში დასავლეთ საქართველოს საზოგადოების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები ასახულია ამ პერიოდის ისტორიულ დოკუნენტებში; გვხვდება შემთხვევები, როცა გაღარიბებული სათავადო სახლის წარმომადგენელი ხდება სოციალურად მასზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პირის მევალე. მაგალითად, მოგვყავს წერილი წერეთლისა ყობიასაძმი, რომლის თანახმად, წერეთელმა აიღო „ორმოცდათექვსმეტი მარჩილი" ყობიასაგან, თვეში ნახევარი შაურის სარგებლით (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-5095).

მემამულის თანდათანობით გაღატაკებისა და ნელ-ნელა მისი საკუთარი მსახურის კაბალაში მოქცევის-შესახებ ცნობას გვაწვდის ორი საბუთი: პირველი, დათარიღებული 1793 წლით, გვამცნობს, რომ ლევან აბაშიძე გამხდარა თავისი მსახურის მამუკელა ღამბაშიძის მევალე (ნ.ბერძენიშვილი, 1953, გვ. 101).

1795 წლის საბუთით, ლევან აბაშიძეს ისევ აუღია ღამბაშიძისაგან ვალი – „ორი თუმანი ქალაქის აბაზი" და გირაოდ მიუცია ვენახი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd - 14549).

ეკონომიკურ შეჭირვებას განიცდის ზაალ ჯაფარიძე, რომელმაც 1802 წლის საბუთით, „გაჭირვების" გამო მიჰყიდა ვენახი ვაჭრებს – მოშია დავითაშვილსა და მის ძმას ისხაკას (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd - 1208).

1809 წლის თამასუქით მროველ იუსტინეს დაუხსნია ამილახორიშვილი ნიკოლოზი ვანელი სომეხის ერემიაშვილ გეორქას ვალისაგან (ნ. ბერძენიშვილი, II 1953, გვ.186). ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მოგვყავს XVIII ს. II ნახევრით დათარიღებული საბუთი, რომლის თანახმად არობელიძემ ნაკაშიძეს წაართვა 140 მარჩილ ვალში ყმა ხატისკაცი (ქიმ, №5).

მაგალითად მოგვყავს ასევე 1790 წლით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც ნათქვამია, რომ თავად მხეიძეებს დაედოთ ბუჭუა ჩინჩალაძის ვალი და, რადგან თანხა გადაიხადეს, ამიტომ თავის აზნაურ როინიშვილებს მიჰყიდეს ყმები. მიღებული თანხით შეძლეს ვალისაგან თავის დახსნა (ქიმ, № 280).

როგორც აღვნიშნეთ, მოცემული პერიოდის ქართულ დოკუმენტურ მასალაში აისახა გვიანფეოდალური ხანის ტიპური მოვლენა, როცა გაღარიბებული თავადი ექცევა მასზე სოციალურად გაცილებით დაბლა მდგომი პირის კაბალაში და ბოლოს მისი უძრავი ქონება თანდათანობით მევალის მფლობელობაში გადადის. „კაპიტალის დაბანდების, მისი

ბრუნვისა და ზრდის ერთ-ერთი გავრცელებული სამოქმედო ასპარეზია მევახშეობა... XVIII ს. II ნახევრის არაერთი პირია ცნობილი, რომელთა მიერ გასესხებული კაპიტალი საერთო ჯამში ათეულ ათასს მანეთს უდრის" (გ. აკოფაშვილი, 1980, გვ.121).

აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია ძირითადად რამდენიმე მსხვილი მევახშე: ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი, მისი ძმა სულხანი, დედოფლის ამილახვარი ოსეფა ყორღანაშვილი, მისი ძმისწული აღალო (იქვე).

მევახშეობამ XVIII საუკუნის თბილისში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო... ვახშით თანხებს გასცემდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, მათ შორის სამღვდელოება და ქალაქში დაფუძნებული იტალიელი კათოლიკე მისიონერები (რ.კაშია, მ. სანაძე, მაცნე, I, 1992).

ქუთაისელი საქმოსნის ნიკოლოზ ქორქაშვილის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მევახშეობა. საბაზრო კავშირებიდან და საგაჭრო საქმიანობიდან მიღებული თანხები მას გასესხებული აქვს დიდი სარგებლით.

ქორქაშვილის მევალეთა სოციალური შედგენილობა მრავალფეროვანია. მათ შორის ვხედავთ როგორც გლეხებს, წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს, ასევე ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს, თვით მეფესაც კი (ასევე სოციალურად ჭრელია მანუჩარ თუმანიშვილის მევალეთა ნუსხები) (ნ. ბერძენიშვილი, II, 1953). დასტურად მოგვყავს ქუთაისის მუზეუმში დაცული რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი: ქორქაშვილის მევალეა კულაშელი არონა მეხელიშვილი, რომელსაც აღებული აქვს ხუთასი ყურუში ოთხი თვის ვადით. სარგებელი საკმაოდ დიდია — თვეში აბაზი. ჩვენს ხელთაა საბუთი, რომლის თანახმად, ერთ შემთხვევაში ნიკოლოზის მიერ ვალში აღებული მარტო სარგებელი უდრის 600 თუმანს. 1809 წლის საბუთით, გრიგოლა გვიმრაძე იღებს მისგან

სესხად ოთხმოც მარჩილს; „წელიწადში შვიდი საპალნე ღვინო ნოგცე" – პირობას იძლევა ვალის ამღები. მევალემ უნდა გადაიხადოს ასევე სასამართლო გადასახადი – „საიჭეო, საბოქაულო" იმ შემთხვევაში, თუ იგი ვალს არ გადაიხდიდა და გამსესხებელს მოუწევდა თამასუქის გასაჩივრება. „თუ რამე დაგახარჯვინო, ყველა მე გადავიხადო" – ვკითხულობთ ზემოთ მოხსენიებულ კულაშელ არონას საბუთში (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, №№ 2221, 2240, 2194).

6. ქორქაშვილის მევალეთა შორის ვხვდებით ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს. 1811 წლის საბუთით, ნიკოლოზისგან უსესხებია მზეხათუნ ბატონიშვილს „ას ოთხმოცდარვა მარჩილი" (ხელნაწერთა ინსტიტუტი,–Ф.ქ -1224).

გიორგი გელოვანს ქორქაშვილის მოზრდილი თანხა მართებს. „სამასი მარჩილი" მას უკვე გაუსტუმრებია, რასაც მოწმობს ხელწერილი, გადასახდელი დარჩენია „ოთხას ორმოცდათორმეტი მარჩილი". იმავე პერიოდში შედგენილი თამასუქით მოურავმა ინაკავიძემ გადაუხადა მას ვალის ნაწილი, გადასახდელი აქვს „იჯარის თეთრი". ნიკოლოზის მოვალეა გურიის სამთავროს სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, რომელსაც მისგან აუღია სესხად „ოთხასი ყურუში ოსმალოს თეთრი". მისი მოვალეა აგრეთვე ვინმე აბაშიძის ქალი, რომელსაც თავდებად უდგება წერეთელი და ითხოვს თამასუქის გადავადებას (ქუთაისის მუზეუმი, №№ 2229, 1900, 2173, 2176).

დოკუმენტური მასალის გაცნობა გვიჩვენებს, რომ აღებული ვალის გადახდას თავადი ხშირად მამულისა და ყმა-გლეხების გაცემით ახერხებდა. მევალის ქონება თანდათანობით გადადიოდა მევახშის ხელში. ვალის ამღები, რომელსაც არ ჰქონდა ფულის შოვნის სხვა შესაძლებლობა, დაწინდავდა ყმა-მამულს.

1810 წლის საბუთით ვიგებთ, რომ გიორგი წულუკიძე გამხდარა ქორქაშვილის მევალე. გაღარიბე-

ბულმა თავადმა ვერ შეძლო ვალის – ექვსი ქესანახევარი იმერული თეთრის გადახდა და ვალში გასცა ყმები. სოფ. ციხას მცხოვრები ხუთი კომლი გლეხი გახდა მევახშის საკუთრება (ქიმ, № 1624).

1811 წელს დაწერილი თამასუქის თანახმად, გიორგი წულუკიძე კვლავ ნიკოლოზის მევალეა. 10 ქესა იმერულ თეთრში წულუკიძემ დაწინდა გლეხები ტყიბულსა და ახალსოფელში (ქიმ, № 1623).

ანალოგიური შინაარსისაა საბუთი, რომლის თანახმად, 400 მარჩილი თეთრის ვალად აღების წინ სიმონ ვახტანგიშვილმა გლეხები დაწინდა (ქიმ, № 1615). სხვა საბუთით ვიგებთ, რომ აგიაშვილებს მოუხერხებიათ 400 მანეთის გადახდა და დაუხსნიათ მათი მამის მიერ ვალში დაწინდული გლეხები (ქიმ, № 2224).

ვალის ამღები მემამულე, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ზოგჯერ უფრო ძლიერ მფარველს მიმართავდა დახმარებისათვის. ლევან დადიანმა დაიხსნა იოანე ახვლედიანის მიერ ქორქაშვილისადმი 600 მანეთ ვალში მიცემული ოთხი გლეხი (ქიმ, № 1101).

დოკუმენტური მასალის განხილვა ნათელყოფს, რომ ნ. ქორქაშვილისაგან ხშირად იღებდა ვალს იმერეთის მეფე სოლომონ II. მეფის მიერ ნიკოლოზისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „როდესაც დამჭირვებია, ხან რვა ქესა მისესხებია, ხან ათი..." საბუთის მიხედვით, ამჯერად მეფე ითხოვს სესხად „სამ ქესა თეთრს". მეფის „თხოვნა" ბრძანებას უფრო ჰგავს: „რო არ მომიხერხო... მაგას შენი ერთგულობისაგან არ მოველი" – ვკითხულობთ საბუთში (დ.უჩანეიშვილი, 1967, გვ.137).

ტიპურ მოვლენებს აქვს ადგილი აღმოსავლეთ საქართველოშიც. მანუჩარ თუმანიშვილის მევალეთა ნუსხაში სამეფო სახლის წევრთა სახელებს ვხედებით, კერძოდ, ლევან და იოანე ბატონიშვილებს (ნ. ბერძენიშვილი, II, 1953, გვ.56, 184).

დოკუმენტით, რომელიც შედგენილია 1799 წელს, ეიგებო, რომ გიორგი XII-მ, როცა გადასახდელი ჰქონდა ლეკის ჯარის ფული, მიმართა უკიდურეს ზომას: დაარბია მანუჩარ და სულხან ოუმანიშვილების სახლები და აიძულა ძმები, გადაეხადათ 600 თუმანი ოთხი (იქვე, გვ.185).

XVIII ს. ბოლოს საქართველოში ვახშის შუასაუკუნეობრივი ფორმის გვერდით გაჩნდა თანხის დაბანდების საკითხი პროგრესული ფორმა — კრედიტი. კრედიტორი აფინანსებს ცალკეულ საქმოსანსა თუ ვაჭართა კორპორაციების მიერ წამოწყებულ სავაჭრო ოპერაციებს.

ქორქაშვილის მევალეები არიან მისი კომპანიონი ვაჭრები: ა. მესარკიშვილი და პ. ხოჯოვნაშვილი; ასევე იჯარის „ამხანაგი" — მელქონ მეფისაშვილი (ქიმ, №№ 2240, 2198).

სავაჭრო ამხანაგობის წევრები თუ ცალკეული ვაჭრები საქმის დაწყებისას ხშირ შემთხვევაში იღებდნენ კრედიტს მევახშისაგან ან სხვა ვაჭრისაგან.

დასტურად მოგვყავს XVIII ს. II ნახევარში შედგენილი თამასუქი, რომლის თანახმად ორი იმერელი „ამხანაკი" სავაჭრო საქმის დასაწყებად იღებს ვალს შეძლებული მოქალაქის მუსტაფა ბარბაქაძისაგან ((ნ. ბერძენიშვილი, II, 1953, გვ.150).

ანალოგიური შინაარსისაა ქუთაისელი ვაჭრების ხეჩინაშვილი სიმონასა და აბრამა ენოქაშვილის თამასუქი, რომელთაც საქმის დაწყების წინ აუღიათ კრედიტი დავით ოცხელისაგან. თამასუქი წარმოადგენს ვალის გასწორების ანგარიშს: „ღვთით ეს ყაბზი დავაწერინე მე, ოცხელმა დავითმა და მოგეცი შენ, ხეჩინაშვილს სიმონას, ამ ჯაათზე, რომ შენი და აბრამა ენოქაშვილის თამასუქი მაქვს ხუთას ორმოცი ძველი მარჩილის. ამ თამასუქის თეთრიდან შენ და აბრამა გაიყარეთ და შენ ორასი ყურუში დაგედვა და ეს ორასი ყურუში შენგან ავიღე და სხვაში აბრამამ შემიჯერა და თამასუქის ბათლამათ შენთვის კერძათ

ეს ყაბზი მომიცია, რომ შენთან საქმე აღარა მაქვს იმ თამასუქის თეთრი" (დ. უჩანეიშვილი, 1967, გვ.144).

ჩვენთვის საინტერესო მასალას შეიცავს საბუთი, რომლითაც „ორმა აფხანაკებმა" ნიკომ და აბრამაძ აიღეს ვალად სავაჭრო საქმისათვის „ათას ოთხას ოთხმოცი ყურუ'ში ოსმალუს თეთრი", ასევე ამხანაგობის წევრებისგან, ესენი არიან: ფირალანთ მელქო და სტეფანა (იქვე, გვ. 125).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოლომონ I-ის ბრძანება (საბუთის მიხედვით არ ჩანს, თუ ვის მიმართავს მეფე). მასში ვიგებთ მხოლოდ, რომ ბრძანების ადრესატს აუღია რა ვალი ბურჯანაძისაგან, ერთ საქმეზე დაუსაქმებია და „ორასი მარჩილის საქონელი უშოვნია". მეფე უბრძანებს, დაუბრუნოს მევალეს „თეთრი, მთავნი და სარგებელი" (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd - 6944; შ. ბურჯანაძე, 1958, გვ. 101).

„სესხი, კრედიტი XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ჯერ კიდევ უმთავრესად მოხმარება'ხე მიდიოდა და ნაკლებ უმნიშვნელო რაოდენობით ხმარდებოდა წარმოებას. მიუხედავად ამისა, სავახ'შო კაპიტალს გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების განვითარებისათვის, ფეოდალური მეურნეობის დაცემისა და წარმოების გამსხვილებისათვის უსათუოდ მნიშვნელობა ჰქონდა" (შ. მესხია, II, 1983, გვ. 265).

კაპიტალის დაგროვების პირველ ეტაპს ახასიათებდა სარგებლის დიდი ნორმის დაწესება. მაგალითისათვის ვნახოთ რამდენიმე თამასუქი, ასეთია: 1728 წლის საბუთი, სადაც „თუმნის თავს" თითო ყურუში სარგებელია გადასახდელი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd - 8930).

XVIII ს. II ნახევრის ერთ-ერთი თამასუქით მევალე 500 ყურუშში აბაზს იხდის (ქიმ, № 2221). ხოლო მოგვიანო, 1816 წლის თამასუქით, სამ თუმანში სარგებელი ხუთი აბაზია (ქიმ, № 2027).

ეფიქრობთ, განსახილველი ხანის სავახშო პროცესების გაცნობა, ფეოდალური წრის ზოგიერთი

გაღარიბებული წარმომადგენლის ქონების გადასვლა დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული მევახშის ხელში, საკაჭრო საქმეში კრედიტის გამოყენება, თვისობრივად სცილდება შუა საუკუნეობრივი ფეოდალური წყობისათვის დამახასიათებელ ნორმებს და მიუთითებს ფეოდალური ურთიერთობების რღვევის საწყის ეტაპზე.

ვაჭართა ფენის წარმომადგენელი, იქნებოდა ის ხულაზე მოვაჭრე თუ უშუალოდ ეწეოდა სავაჭრო საქმიანობას, ვალდებული იყო გადაეხადა როგორც სამეფო, ასევე სამოხელეო გადასახადი (ცსსა, 1604, გვ. 4-5).

გადასახადს იხდიდა უპირველეს ყოელისა მედუქნე ვაჭარი ან ხელოსანი. მიწის მეპატრონისაგან (სახარო, სათავადო, საეკლესიო) დაბეგრილი იყო თვით ხულა (დუქანი), როგორც სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობა, ასევე ხულის ადგილი ანუ მიწის ის ნაწილი, სადაც ეს შენობა იდგა.

ვაჭარ-ხელოსნებზე და დუქნებზე შეწერილ გადასახადთა ანალოგიური წესი არსებობს აღმოსავლეთ საქართველოში (რ.კაშია, მ.სანაძე, მაცნე, 2, 1989, გვ.83)

როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლების მიერ ძირითადად მოწესრიგებულია ხულების საგადასახადო სისტემა, რადგან საბუთების მიხედვით სავაჭრო ნაგებობების საგადასახადო თანხის ოდენობები თითქმის ერთნაირია. XVIII საუკუნეში ხულის ქირა თვეში ერთი მარჩილის ტოლია. ასეა მითითებული მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნში გელათისადმი, სადაც ეკითხულობთ: „ამას გარდა შეგვიწირავს ერთი ხულის ქირა თვის თავზედ, თითოს ქირას მარჩილს წინამძღვარი აიღებდეს". იმავე საბუთზე გვიანი მინაწერია, გულქან წულუკიძე ასევე სწირავს ანდრია მოციქულის ეკვდერს ხულის ქირას – მითითებულია ხულის გადასახადი – თითო მარჩილი თვის თავზე (ს.კაკაბაძე, I, 1921, გვ. 119, 125). ხულის ქირის ანალოგიური ოდენობაა მოხსენიებული გულქან დედოფლის შეწირულობის წიგნში მიძინების ეკლესიისადმი: „ჩვენი ურია კაკია ჩვენს ქალაქში ქუთაისს ხულაზე ვაჭრობდა. თვეში მარჩილი ჩვენთვის ხულის ქირა -უნდა მოერთმია, აწ დაგვეაჯა

წინამძღვარი მაჭავარიანი დანიელ და ვისმინეთ მოხსენება მისი და შემოგწირეთ ჩვენი მოსართმევი თვეში ერთი მარჩილი სანთლის და საკმევლის ფასად და ერთის ხულის ყოველ თვეში მოგერთმეოდეს ან მარჩილი სამოელ-საკმეველი და ან მარჩილი შეიწირე" – ვკითხულობთ 1782 წლით დათარიღებულ საბუთში (ცსსა, 1448-1050).

სამეფო ხულების შემოსავალი სადედოფლო წილს შეადგენდა.

როგორც აღვნიშნეთ, ხულის ქირის გარდა მედუქნე, რომელიც ხულაზე ვაჭრობს, ვალდებულია იმ მიწის პატრონს, სადაც დგას ეს სავაჭრო ნაგებობა, გადაეხადოს დასებული თანხა, რასაც საბუთებში ასეც უწოდებენ – „ხულის მიწის ქირა". ვაჭარი მიწის მფლობელს (მეფეს, ფეოდალს) უხდიდა გადასახადს დუქნის გარკვეული მიწის ნაკვეთ'ზე დაყენების უფლების მიცემისათვის. „მიწის ქირა" – მისი რაოდენობა განსაზღვრული იყო წელიწადში ორი ფლურით (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 119,125).

იმერეთის სამეფო ხაზინისათვის მნიშვნელოვან შემოსავალს წარმოადგენდა სამღებროებიდან შემოსული გადასახადები. ისინი იჯარით გაიცემოდა. 1810 წელს ქუთაისის სამღებრო 850 მანეთად გაიცა იჯარით, 1813 წელს იმერეთის ყველა სამღებრო ბაეთან ერთად იჯარით გაცემულია 5 000 მანეთად. მომდევნო წლებში თანხა მნიშვნელოვნად მატულობს. 1814 წელს 8 000 მანეთად, 1816 წელს 10 000 მანეთად (მ.სამსონაძე, 1980, გვ. 283-284).

სამღებროებიდან გადასახადი დადგენილი ნიხრის მიხედვით აიღებოდა. განსაზღვრული იყო ასევე ფასები შესაღებ საქონელზე (ცსსა, 16, I, 1604, გვ.5).

იმ ადგილებში, სადაც ბაზრობა იმართებოდა, მოსული ვაჭარი, ვაჭრობის უფლების მოპოვებისათვის ვალდებული იყო გადაეხადა გარკვეული გადასახადი – ბაჟი ადგილის პატრონისათვის. ასე ხდებოდა იქ, სადაც პარასკეობით დიდი ვაჭრობა მიმდინარეობდა.

ამას შესაძლოა, „საპარასკეო გადასახადი" ეწოდოს, თუმცა ასეთი ტერმინი საუუთებში არ გვხვდება. მაგალითად, ხონის ცნობილ „პარასკეობაზე" ვაჭარს უნდა გადაეხადა ხონელი ეპისკოპოსისათვის საქონლის ბაჟი ერთი აბაზის ოდენობით: „ყოველს პარასკევს ჩემი საკერძო ერთი აბაზი ვაჭრის გადასახადი ნაბაჟი სანთელ-საკმეველის ფარად მოგერთმეოდეს" — ვკითხულობთ მაქსიმე ხონელის (1763-69) შეწ-ირულობის წიგნში ხონის წმ. გიორგის ეკლესიისადმი (ს.კაკაბაძე, I, 1921, გვ.37-38).

ყმა ვაჭარი დაბეგრილი იყო ძირითადად იმ პროდუქტით, რითაც ვაჭრობდა. ასე მაგალითად, სომეხი ვაჭარი გელათს უხდის: „ოროლი ჩარექი ბამბა სანთლის გულათ" (იქვე, გვ.63).

ვაჭარი ან უშუალო მწარმოებელი გლეხი იხდიდა სხვადასხვა სახის საბაჟო გადასახადებს.

განსხვავებული ოდენობით იხდიან ბეგარას, 1789 წლის საბუთით, სოლომონ II-ის მიერ გელათის მონასტერს შეწირული ვაჭრები. (ს.კაკააბძე, II, 1921, გვ.95).

სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა საგადასახადო სისტემის დარეგულირებას. ამ ფაქტის დასტურად მოგვყავს სოლომონ II-ის მიერ გაცემული ბაზარზე გასაყიდი სურსათისა და სასოფლო-სამეუ-რნეო იარაღების მტკიცე ფასების ნიხრი. საბუთს ასე ეწოდება „საქონლის ფასების განწესება". განწესება ასხვავებს მოსაშუალე ვაჭარსა და უშუალო მწარმოებ-ელ გლეხს: „ერბო ჩარექი სოფლის კაცისაგან ორ დუმათ და ვაჭრისაგან ყურუშათ" (ნ.ბერძენიშვილი, I, 1938, გვ.261).

ოსმალეთში საავაჭროდ მიმავალი ვაჭარი იხდიდა საპალნე ღვინოზე ას ფარას, იგივე თანხას იხდიდა საპალნე არაყზე (იქვე, გვ.186).

გადასახადის გადახდის დროს ხაზგასმულია, თუ რით გადაიტანება გასაყიდი საქონელი, რადგან შეს-აბამისად განსხვავებულია გადასახადის ოდენობა:

„ცხენის თავს ცალს ბამბაზე მარჩილს იხდიან საჩხერელი ურიები, ხოლო იჯარადრები აგან იგივე საბუთი „ოც ფარა" გადასახადს აწესებს (ხელნ. ინსტ. Hd-1559).

ვაჭარი ვალდებული იყო გადაეხადა გადასახადები მეფის მოხელეების სასარგებლოდ. ქუთაისელი ვაჭარი, რომელიც ბაზრობაზე ვაჭრობდა, იხდიდა: „სამეფოდ ერთ ნაწილს, სამოურავო და სამოქალაქოდ ცოტას" (ზ.ჭიჭინაძე, 1905, გვ.83).

ამდენად, სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას, საბაჟო გადასახადთა ფასების დარეგულირებას; შედარებით მშვიდობიანობის პირობებში ცენტრალური ხელისუფლება ახერხებდა კიდევაც ამ პროცესების მოწესრიგებას.

XVII ს-ში გზები გარე სამყაროსაკენ დასავლეთ საქართველოსათვის კვლავ დახშული რჩებოდა. ერთადერთი გზა თურქეთის იმპერიაზე გადიოდა. იმპერია კი აიძულებდა სამეფო-სამთავროებს ადამიანებით ვაჭრობას. პირველი მოხმარების საგნებიც კი, როგორიცაა მარილი, რკინა და სხვა, მხოლოდ თურქეთის გზით შემოდიოდა.

თურქულ გემებს მოჰქონდათ: „მშვენიერი ნაირ-ნაირი ხალები, საბნები, თურქული ტყავები, უნაგირები, ცხენის მოკაზმულობა, მშვილდ-ისრები, შალები და მაუდები, ყოველნაირი ფასისა, რკინა, ქვაბები, მატყლი, შეღებილი და სახეებიანი ტილოები, დამარილებული თევზი, ხიზილალა, დანები, საკმეველი, პილპილი, შაქარი და მარილი" (არ. ლამბერტი, 1937, გვ. 158). სამაგიეროდ ცოცხალ ადამიანებს ითხოვდნენ.

მაგრამ იყო ცალკეული შემთხვევები, როცა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები უკავშირდებოდნენ ევროპულ ქვეყნებს, მიმოსვლა საზღვაო გზით ხდებოდა. XVII ს. პოლონეთის მეფეს ურთიერთობა ჰქონდა გურიისა და ოდიშის სამთავროებთან და 1626 წლის ერთი ცნობის მიხედვით, „ხომალდები ხშირად დაცურავენ ერთი ქვეყნიდან მეორეში", პოლონეთის მეფე კაზიმირს ორი დატვირთული ხომალდი გაუგზავნია საჩუქრად იმერეთში მყოფ კახეთის მეფე თეიმურაზისათვის.

ლვოვიდან ვაჭრები ზღვით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გადმოდიოდნენ, ამ დროს პოლონეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, ქარვა, ლითონის ნაწარმი, ძვირფასი ქსოვილები და სხვა... (თ. ბერაძე, 1981, გვ. 183-84).

ცნობილი ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი ჩამოთვლის იმ საქონელს, რომელიც მისმა ხომალდებმა სამეგრელოში ჩამოიტანა გასაყიდად:

„ჩვენი გემის ტვირთს შეადგენდა: მარილი, თევზი, ხიზილალა, ზეთი, ორცხობილა, მატყლი, რკინა, სპილენძისა და ქაშანურის ჭურჭელი, ყოველგვარი იარაღი და აკაკმულობა, სამიწათმოქმედო იარაღი, ყოველგვარი ფერის მაუდი და ტილო, ქალისა და კაცის მსა ფეხსაცმელი, საბნები, ნოხები, ტყავი, ჩექმები, ფეხსაცმელები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ყველაზე მეტად აუცილებელია ადამიანისათვის. გემზე იყო აგრეთვე საგალანტერიო და საბაჟო საქონელი, წამლები და ყოველგვარი ნელსაცხებლები" (ჟან შარდენი, 1935, გვ. 18).

იმავე ავტორის ცნობით, გვიანფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოდან ზღვით გაჰქონდათ: „ხეტყე, აბრეშუმი, სელის ძაფი, ტილო, სელის თესლი, კანაფი, ტყავები, კვერნისა და თახვის ბეწვი, ღვინო, ბროწეული... ღომი... შავიზღვისპირეთში თევზაობისათვის საჭირო ბადეები დასავლეთ საქართველოს ნართით იქსოვებოდა" (თ. ბერაძე, 1981, გვ. 185).

ამდენად, ვაჭრობა თურქეთთან XVII ს. ძირითადად ცოცხალი საქონლით წარმოებდა, მაგრამ იყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობის ცალკეული შემთხვევები.

ახალციხე განოქმული იყო ვაჭრობით, თავისი მდებარეობის წყალობით ამიერკავკასიასა და წინა აზიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. კონსტანტინეტოლი, თავრიზი, ყარსი, არზრუმი, ტრაპიზონი, ბათუმი, იმერეთი, თბილისი, გუმბრი, შამახია და სხვ. აი ის ძირითადი სავაჭრო ცენტრები, სადაც ახალციხელი ვაჭრები მიმოდიოდნენ (შ. ლომსაძე, 1974, გვ. 460). ცხოველი სავაჭრო ურთიერთობები იყო გაჩაღებული ახალციხესა და ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის. ყველაზე მეტად ახალციხე იმერეთს უკავშირდებოდა. ახალციხელ ვაჭართა დიდ ნაწილს იმერეთში, ქუთაისსა და ბაღდათში ჰქონდა დადებული ბინა, სადაც ბევრ

მათგანს ქონდა საკუთარი სახლი და სავაჭრო. კვირა დღეს ახალციხის ბაზარზე ჩამოსულებიდან იმერლები ჭარბობდნენ. ახალციხეში კი ბევრი იმერელი ვაჭარი საქმიანობდა და თავისი სავაჭრო ხულები ჰქონდათ (ქიმ -1991).

იმერეთსა და ახალციხეს შორის არსებული სავაჭრო კონტაქტების გაცნობის თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს შეიცავს ახალციხელი სტეფანე ნაკროზაშვილის ქრონიკები; მათში საკმაო ადგილი უკავია ვაჭრობის, სავაჭრო საქონელბრუნვისა, ვაჭართა კატეგორიების, გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გარკვევის საკითხებს (შ. ლომსაძე, 1979, გვ. 98, 99)

ამდენად, XVIII ს. II ნახევარში დასავლეთ საქართველოში ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყვეს ახალციხიდან იმერეთში გადმოსულმა და დამკვიდრებულმა, კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარმა ქართველმა ვაჭრებმა. რამდენიმე საგვარეულოს სავაჭრო საქმიანობა ქუთაისში საბუთებით დასტურდება. ესენია: ოცხელები, ქორქაშვილები, ბაინდურაშვილები, კოკოჩაშვილები, ხეჩინაშვილები და სხვები.

XVIII ს. II ნახევარში, რუსეთთან სავაჭრო გზის გახსნის შემდეგ, რუსეთის ბაზრებზე ძირითადად ახალციხიდან გადმოსული და იმერეთში დამკვიდრებული კათოლიკეები მონაწილეობდნენ.

ახალციხიდან იმერეთში ინტენსიურად შემოჰქონდათ: მარილი, საპონი, საღებავები, ერბო, ზეთი, თამბაქო, დამუშავებული ტყავი, რუმბები, ყველი, აბრეშუმი, პური, სელი, იყიდებოდა რქოსანი პირუტყვი და სხვა.

იმერეთიდან კი ახალციხეში ძირითადად გადიოდა: „დარაია" (აბრეშუმის ქსოვილი), ნაქსოვი შალი, ძუა (ჯაგარი), კამეჩის ტყავი, ღვინო, არაყი, ხილი და სხვა (შ. ლომსაძე, 1975).

ახალციხის გზით ხდებოდა საქარავნო-სავაჭრო მიმოსვლა თურქეთში.

თურქეთთან საზღვაო ვაჭრობა ძირითადად ფურქების მიერ დაკავებულ ციხე-სიმაგრეებში: ფოთში, ბათუმსა და სოხუმში წარმოებდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფოთი, სადაც ბაზრობაზე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან მიდიოდნენ „აქედან ზღვით შემოტანილი საქონელი აღმოსავლეთ საქართველოშიც გადაჰქონდათ. ფოთის გარდა ზღვით შემოტანილი საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში ბათუმიდან, გონიოდან და ხოფიდანაც გაჰქონდათ" (თ. ბერაძე, 1981, გვ. 183).

სტამბოლში ქართველ ვაჭრებს თავისი სავაჭრო სახლი ქონდათ, სახელწოდებით – „ვეზირხანა", სადაც ვაჭრები შედარებით მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს წარმართავდნენ.

სტამბოლში სავაჭროდ ინტენსიურად დადიოდნენ ნიკოლოზ ქორქაშვილთან დაკავშირებული „მუშა-ვაჭრები", მათ შორის ანტონ ქუროთევი. ზემოთ გავეცანით ასევე იმერელ საქმოსანს ბეჟან ბაინდურაშვილს, რომლის სავაჭრო სამოქმედო არე ქალაქი სტამბოლია.

ფოთში ყოველწლიურად ოცამდე თურქული გემი შემოდიოდა დატვირთული ყოველგვარი ძვირფასი საქონლით (მ. სამსონაძე, 1980, გვ 104-5).

პოლკოვნიკ მერლინის ცნობით, ახალციხის გზით შემოდიოდა იმერეთში თურქული საქონელი: მაუდი, ჩითი, აბრეშუმის ქსოვილები, შალი, ფარჩა, ბამბის ნაწარმი, წითელი ტარსიკონი, თამბაქო, თურქული საპონი, მარილი და დამარილებული ხორცი, დამარილებული თევზი, ზეთი, შაქარი, ყავა, ლიმონი, ფორთოხალი, ხიზილალა, სხვადასხვა სამკურნალო ბალახები, რკინა, ტყვია და სხვა" (ცსსა, 16, 1, ს. 1604, გვ. 4-5).

„XVIII ს. II ნახევრის ქართულ დოკუმენტებში აღმოსავლური (ირანული, თურქული...) საქონელი

ჭარბობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან XVIII ს-ის დასასრულამდე გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა" (დ. კაციტაძე, 1982, გვ. 55).

XVIII ს. II ნახევარში ამიერკავკასიაში რუსული და რუსეთის გზით შემოსული საქონელი გამოჩნდა. რუსეთის იმპერიის ცდებმა სამხრეთისაკენ საზღვრების გაფართოებისა და შავ ზღვაზე გაბატონებისკენ განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 1750 წლიდან, როდესაც გაიხსნა ე.წ. „დარიალის გზა". საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის სავაჭრო ცენტრებს უმოკლესი გზით დაუკავშირდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის ორი ძირითადი სავაჭრო გზა არსებობდა: ერთი დარიალის ხეობით მოზდოკამდე; მეორე თბილისი-ბაქო-ასტრახანისა. დარიალის ხეობით გზა მთაგორიანი და მძიმე იყო, სამაგიეროდ, შედარებით მოკლე (მ.სამსონაძე, 1980, გვ.121).

ამ პერიოდის ქართულ მზითვის წიგნებში ჩნდება რუსული ნივთები: „რუსული ზანდუკი", „რუსული სკივრი", „მოჭედილი რუსულებრ ოთხთავი". ასევე „ფრანგული" ავეჯი, „ევროპული საკაბეები, სპანსკის სარკეები" (მზითვის წიგნები, 1974) და ა.შ.

რუსი პოლკოვნიკი მერლინი, ჩამოთვლის პროდუქციის მრავალსახეობას, რაც XIX ს. დასაწყისში შედიოდა რუსეთიდან ქუთაისში გასაყიდად და განსაკუთრებით გამოყოფს: ჩაის, ყავას, ჭურჭელს, ხელოსნობის ნაწარმს და სხვადასხვა ევროპულ საქონელს (ცსსა, ფ. 16, 1604, გვ. 4-5).

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ამიერკავკასიას, როგორც ნედლეულის ბაზას, რომელსაც იმპერიის მზარდი მრეწველობა პროდუქციით უნდა მოემარაგებინა. აბრეშუმი, საღებავები (ძირითადად ენდრო), ბამბა, ბამბის ქსოვილები, აღმოსავლური ხელოსნობის ნაწარმი რუსეთის ბა-

ზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა (მ.სამსონაძე, გვ.123, 1980).

ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართველი ვაჭრების მიმოსვლამ რუსეთის ქალაქებში, განსაკუთრებით მოზდოკსა და ასტრახანში, ასევე მაკარიევოსა და ნიჟეგოროდის ბაზრობებზე.

უპირველეს წყაროს XVIII ს. II ნახევარში იმერეთის სამეფოს რუსეთთან სავაჭრო კავშირურთიერთობის შესახებ წარმოადგენს მოზდოკის გამშვები პუნქტის კანცალარიის მასალები. გავეცნოთ რამდენიმე საბუთს: 1791 წელს მოზდოკი გაიარეს ქუთაისელმა ვაჭრებმა გრიგორიევმა და პეტროვსკიმ, რომელთაც ჰქონდათ სოლომონ მეფის დახასიათება, როგორც „წესიერი" ვაჭრებისა (Гамрскели В. 1968, стр. 253).

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ კანცელარიის მასალებში ქართული გვარები რუსული დაბოლოებით არიან მოხსენებულნი.

1780 წ. საბუთით მოზდოკის კომენდანტი ატარებს ვაჭრებს საქართველოდან: „საქონლით იმ მხრიდან ქართველები, იმერლები და სხვა წოდების ხალხი" – ვკითხულობთ საბუთში (იქვე, №92, გვ. 248).

რუსეთთან ვაჭრობაში იმერელი ვაჭრები შესამჩნევ როლს ასრულებდნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მათ რუსეთის ბაზრებზე ძირითადად ადგილობრივი საქონელი გაჰქონდათ.

საბუთების გაცნობა გვაწვდის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იმ პროდუქციის რაობის შესახებ, რაც იმერეთიდან გადიოდა რუსეთის ქალაქებში. როგორც ჩანს, განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობდა იმერული თავთა. ეს იყო აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც მხოლოდ იმერეთში მზადდებოდა და თავისი სილამაზითა და სინაზით გამოირჩეოდა.

„ვიწრო და თხლად ნაქსოვ სხვადასხვა ფერის", შეღებილი თავთის ქსოვილს როგორც ადგილზე, იმერეთში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, გორსა და

თბილისში დიდი გასაყალი ჰქონდა (ხელნ. ინსტ.-ROS-10, გვ.7).

რუსეთთან სავაჭრო გზის გაცხოველების შემდეგ ეს ქსოვილი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ იმერელ ვაჭრებს:

XVIII ს. II ნახ. ქუთაისელ ანდრიაშვილს სხვა საქონელთან ერთად მაკარიევოს ბაზარზე 77 შეკვრა თავთა წაუღია.

ანალოგიური შინაარსისაა საბუთი, რომლის თანახმად, ქუთაისელ ვაჭარ ბეჟანიშვილს რუსეთში გასაყიდად მიაქვს 21 ცალი იმერული თავთის ქსოვილი (ცსსა ფ. 254, აღწ. I, საქმე 131, გვ. 224, 443).

მოზდოკში ვაჭრობს იმერელი დავით ალადელოვი, ხოლო ქუთაისელი სტეფანე ქაიხოსროვი და ბერი გრიგორიევი რუსეთში სავაჭროდ მიდიან და თან მიაქვთ იმერული თავთის ქსოვილი (მ.სამსონაძე, გვ.149, 1980).

დოკუმენტური მასალის გაცნობა ცხადჰყოფს, რომ იმერული საქონლით ბაზრობებზე სხვა ეროვნების ვაჭრებიც ვაჭრობდნენ. მათ შორის ეხედავთ თბილისელ მიხეილ სირაძეს, სომეხ ვაჭარ დავიდოვს, მოზდოკელ ვაჭრებს და სხვ. 1804 წელს სხვა საქონელთან ერთად მოზდოკელ სტეფანე ბაღდასაროვს 230 შეკვრა იმერული თავთის ქსოვილი მიაქვს. იმავე წელს, მოზდოკელი ოსის საქონლის ნუსხაში დასახელებულია 182 შეკვრა იმერული თავთა, ხოლო მოზდოკელ მერაბოვს თავრიზულ თავთასთან ერთად 3 შეკვრა იმერულიც მიაქვს (ცსსა – ფ.254, აღწ. I, საქმე 121, 131).

დასავლურ ქართულ სავაჭრო საბუთებში ხშირად იხსენიება სხვადასხვა სახის ბეწვეული, განსაკუთრებით მელიისა და კვერნის ბეწვი.

1780 წ. შედგენილ გასაყიდი საქონლის ნუსხაში, რომელიც იმერელ ვაჭარ იოსებს მიაქვს რუსეთში სავაჭროდ, ძირითადად დასახელებულია თახვისა და

მელიის ტყავები, გარეული კატისა და მელიის ბეწვი (Гамрекели В. # 90, 1968, стр.246).

1806 წელს, ქუთაისელმა პეტრე ბეჟანიშვილმა სხვა საქონელთან ერთად რუსეთში წაიღო 60 ცალი მელიისა და 12 ცალი კვერნის ბეწვი. იმავე წლითაა დათარიღებული საბუთი, რომლის თანახმად ქუთაისელი კათოლიკე ანდრიაშვილი ითხოვს რუსეთში სავაჭროდ წასვლის ნებართვას, საქონლის სიაში, რომელიც მას გასაყიდად მიაქვს, აბრეშუმის გარდა ჩამოთვლილია ბეწვეული: 77 ცალი თახვის და 38 კვერნის კუდი (ცსსა, ფ. .254, აღწ. I, საქმე 131, გვ. 224, 443).

ქუთაისელ ანტონ ელიზბარაშვილს სხვა საქონელთან ერთად (ესენია: ტილო, საღებავი, 3 ფუთი შაქარი, სარკეები) მოზდოკში მიაქვს გასაყიდად 2 ათასი გარეული კატის ბეწვი, ასევე სპეციალური საჩექმე რბილი ტყავი (Гамрекели, 1968, стр. 248).

სხვადასხვა სახის ბეწვეული მოხსენებულია აგრეთვე იმ დასავლურ პროდუქციას შორის, რომელიც ჩამოთვლილი აქვს პოლკოვნიკ მერლინს (ცსსა, ფ. 16, აღწ.. I, ს. 1604).

მოზდოკის კანცელარიის მასალებში, გატანილ საქონელს შორის ვხედავთ კარგი ხარისხის ტილოს, რომელსაც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ამზადებდნენ.

1791 წ. დათარიღებული საბუთით ქუთაისელ ვაჭარს მოზდოკში მიაქვს 3 ათასი არშინი ტილოს ქსოვილი.

ამდენად, XVIII ს. II ნახევარში იმერეთის სამეფოდან რუსეთის ქალაქებში ვაჭართა მიმოსვლასა და სავაჭრო ურთიერთობებში განვითარების ტენდენცია იგრძნობოდა.

XIX ს. დასაწყისში, როგორც ცნობილია, საქართველო იმპერიის ნაწილი გახდა და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა თვისობრივად განსხვავებული ხასიათი მიიღო.

სავაჭრო ტერმინები

ეკონომიკური ხასიათის მასალას არ ახლავს ჩვეულებრივი დოკუმენტებისათვის (წყალობები, შეწირულობები) დამახასიათებელი შესავალი (ღვთის ქება) ან კრულობითი ნაწილი. ასეთი საბუთები მოკლე, საქმიანი ტონით გამოირჩევა.

სავაჭრო საბუთებში უცხო ტერმინთა მეტი წილი სპარსულია, ან სპარსულფუძიანი სიტყვებია გამოყენებული. ვფიქრობთ, ისინი აღმოსავლეთ საქართველოს, თბილისის გზით შემოსული და დამკვიდრებულია სავაჭრო ურთიერთობებში.

თავნი||მთავნი||სარმია (სპ.) – თავნი ანუ სავაჭრო ოპერაციის ჩატარებისათვის ძირითადი საბრუნავი თანხა, სავაჭრო საბუთებში. გვხვდება ორივე ფორმით: ქართული თავნი||მთავნი და სპარსული – სარმია. ასევე მონაცვლეობით იხმარება ეს ტერმინი აღმოსავლურ ქართულ სავაჭრო საბუთებში, ზოგან ნახსენებია სიტყვა თავნი, ზოგ შემთხვევაში სიტყვა სარმია ენაცვლება. იგივე სურათია დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითისათვის, „აფხანაკობის წიგნში" (ჩიკვა'შვილსა და ქორქა'შვილს შორის) ძირითადი საბრუნავი თანხა იხსენიება სიტყვით – „მთავნი", ხოლო „ათას ხუთასი ყურუში" მოხსენებულია, როგორც „სარმია".

ტერმინი „სარმია" მხოლოდ სავაჭრო ხასიათის საბუთებ'ში გვხვდება, ხოლო სიტყვა „თავნი" იხმარება იმ მასალა'ში, სადაც თანხის ვალად გაცემა'ხეა საუბარი ე.ი. სავახშო თამასუქებში.

თამასუქი – სავაჭრო ხელშეკრულება. სავაჭრო საქმიანობა სიზუსტეს მოითხოვდა. თამასუქები მოკლე შინაარსის, ზუსტ ანგარიშიანობაზე დამყარებული ისტორიული დოკუმენტებია.

მოგება („საქონლის შოვნა" – სულხან-საბა) – სიტყვა „მოგება" სავაჭრო საამხანაგო საბუთების ფო-

რმულირებაში შედის. ასე ბოლოვდება ამ პერიოდის ყველა სავაჭრო ხელშეკრულება-შეთანხმება: „მოგება და ზიანი ერთნაირია".

სარგებელი – სავაჭრო საბუთების ფორმულირებაში შემავალი ნაწილია. „ზიანსა" და „სარგებელს" ერთნაირად იყოფენ საქმეზე დამდგარი ვაჭრები.

მოსაგები – გამოცდილი ვაჭარი, რომელსაც არაერთი ოპერაცია წარმატებით ჩაუტარებია. სავაჭრო საბუთის შედგენისას, ხშირად წინასწარ ვარაუდობს ამა თუ იმ გასაყიდი საქონლიდან სავარაუდო მოგებას: თქვენი სარმიით ვივაჭრე – ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში – მოგება მომცა სამასი ყურუში, თეთრის სარგებელი ავიღე და 1750 ყურუში მაგის მოსაგები არის... ეს სტამბოლს მოსაგებია" (ქი.მ - 2199).

ქესა – ტერმინი ქესა ხშირად გვხვდება XVIII ს. სავაჭრო ოპერაციების დროს. სიტყვა არაბულ-სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს საფულეს.

ქესა 500 მარჩილს ანუ 120 ვერცხლის მანეთს უდროდა. 1 ქისა ანუ „ქესა უდრის 30 თუმანს (მ. გონიკაშვილი, 1979, გვ. 21).

XVIII ს. საბუთებში ქესას ფულის ერთეულის სახე აქვს მიღებული: 1808 წლის საბუთში, იჯარით გაცემული ლომსიათხევის სამღებროს საიჯარო თანხაა „რვა იმერული ქესა" (ქიმ - 1994).

სოლომონ მეფე ართმევს ქორქაშვილს „სამ ქესა თეთრს" (ქიმ 116). სათავდებო საბუთით (დათარიღებულია 1721-40 წლებით) ონელი ებრაელები იღებენ ვალს - „ხუთ ქესა თეთრს". 1810 წლის ორი დოკუმენტი გვამცნობს, რომ გიორგი წულუკიძეს ვალად დასდებია - „ათი ქესა", შემდეგ „ექვსი ქესა თეთრი" (ქიმ - 1624) და ა. შ.

შართლამა – „პირობის წიგნი" (სპ.). შართლამა ეწოდება მელქონ იჯარადრისა და მისი ამხანაგების სამღებრო ხელშეკრულებას (ქიმ – 1994).

ხულა – სულხან-საბას ლექსიკონში ხულა განმარტებულია – „სახლი სავაჭროს სადები". ნ.

ჩუბინიშვილის განმარტებით ლექსიკონში ხულა განმარტებულია როგორც ქოხი (ქულბაქა, დუქანი); ახალციხეში მყოფ სავაჭროსაც დოკუმენტურ მასალაში – ხულა ეწოდება (ქიმ – 1991). რუსეთთან დასავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ სავაჭრო უკვე იხმარება, როგორც დუქანი (ხელნ. ინსტ.- ᲰᲫ – 1311), თუმცა ზოგან ისევ იმავე ტერმინით იხსენიება, როგორც ხულა (ქიმ – 2023).

სამწუხაროდ დასავლურ დოკუმენტებს არ შემოუნახავს ცნობები ხულების როგორც ნაგებობების აღწერილობის, მათი სიდიდის შესახებ, როგორც ეს გვაქვს თბილისურ საბუთებში, სადაც ზოგჯერ მოცემულია გასაყიდი დუქნების სიგრძე-სიგანე და ა.შ. იმდროინდელ თბილისურ დუქანთა უმრავლესობა მცირე ზომის სავაჭრო-სახელოსნო საწარმოებია, ამიტომ ვფიქრობთ, ასეთივე ზომის ნაგებობებს წარმოადგენს ამ პერიოდის ქუთაისური ხულებიც (რ.კაშია, მ.სანაძე, 1989, გვ.73).

ხულები, ისევე როგორც აღმოსავლურ ქართული დუქნები, სადედოფლო კუთვნილებას წარმოადგენს (ს.კაკაბაძე, I, გვ. 1921, 119; ცსსა, 1448-1057).

დოკუმენტურ მასალაში ზოგან მოცემულია გასაყიდი ხულის ფასი. ჩვენს ხელთ მყოფი სამი საბუთი გვაძლევს საინტერესო ცნობებს ქუთაისში არსებული ორი ხულის შესახებ. თავდაპირველად (1796 წ.) ისინი ებრაელებს მიუყიდიათ ხეჩინაშვილისათვის (ხელნ. ინსტ.-ᲰᲫ – 1176). შემდეგ (1797 წ.) იგივე ხულები კაცია წულუკიძეს უყიდია (ხელნ. ინსტ.-ᲰᲫ – 1177). საბუთში დასახელებულია ხულების ფასი – „ორასი მარჩილი". მალევე იგივე ხულები ზურაბ წერეთელს შეუძენია (ხელნ. ინსტ.-ᲰᲫ -- 1178). ფეოდალი ცხადია დაინტერესებულია ხულებისდუქნების როგორც შემოსავლის წყაროს შეძენით, ასევე მედუქნეთა მიზიდვითა და მათი დასაქმებით. გრიგოლ წერეთლის მიერ დანიელა ფიჩხაძისადმი მიცემული წყალობის წიგნით ვიგებთ, რომ ზურაბ წერეთლის ვაჟს –

გრიგოლს, მიუღია ოსმალეთიდან ჩამოსული აბა-სთუმნელი ურია და უბოძებია მისთვის „ქუთაისს ორი თვალი დუქანი", და რადგან თავადს აინტერესებს დუქნის, როგორც შემოსავლის წყაროს სწრაფი ამოქმედება, წინასწარ აძლევს დანიელა ფიჩხაძეს გარკვეულ თანხას: „სამთავნო თეთრი მე მოგცე, ათი-თერთმეტი სარგებლით და თავნი და სარგებელი მე არ დამეკარგოს და სხვებრ შენ ხელი მოიბრუნო" (ხელნ. ინსტ.-Ф- 1311).

XVIII ს. ქუთაისში დაახლოებით 100-მდე ხულა არსებობდა. (ს.კაკაბაძე, 1924, გვ.286; ზ.ჭიჭინაძე, 1905, გვ. 36).

დოკუმენტურ მასალაში ხშირად ქართული ტერმინების ნაცვლად მათი შესატყვისი აღმოსავლური სიტყვები გვხვდება. ასეთებია: ყასუმი და მუჯასმა — ზარალის ადგილას (ქიმ — 2236), ბორჯი — ვადის ნაცვლად (ქიმ — 2224, 1813), ყავზი — თამასუქის მაგიერ (ქიმ — 2229), სიტყვა დაფათი — სადაც იგულისხმება — პირობა (ქიმ — 1994) და ა.შ.

დასკვნა

XVIII ს. დოკუმენტური მასალის გაცნობამ, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა სათანადო დასკვნები.

ფულზე მოთხოვნილების ზრდამ გამოაცოცხლა საბაზრო კავშირურთიერთობები. საშინაო ბაზრის გაფართოებამ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის ფულად-სასაქონლო პროცესების გააქტიურებამ, მტკიცე საფუძველი შექმნა ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის.

ვაჭართა ფენას გამოეყო რამდენიმე შეძლებული საქმოსანი, რომელთა სავაჭრო-სავახშო საქმიანობა სცილდება შუა საუკუნეების ფეოდალური ქალაქებისათვის დამახასიათებელ სავაჭრო ურთიერთობებს.

XVIII ს. II ნახევარში დადასტურებული ამქრის რღვევის საწყისი პროცესი წარმოადგენს სავაჭრო „ამხანაგობათა" განვითარებისა და სავაჭრო ოპერაციების წარმოებისას ამ ფორმის გაბატონების წინაპირობას.

„ამხანაგობათა" შესწავლამ დაგვანახა, რომ კორპორაციის შიგნით არსებულმა ქონებრივმა დიფერენციაციამ ნიადაგი მოუმზადა მოსალოდნელ სოციალურ ცვლილებებს.

XVIIIს. ბოლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთთან სავაჭრო გზის გახსნას და ამ გზით ევროპული საქონლის გამოჩენას საქართველოში.

ამდენად, სავაჭრო ურთიერთობათა და ვაჭართა ფენის შიგნით მიმდინარე პროცესების გაცნობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ XVIII ს. II ნახ. დასავლეთ საქართველოში ჩნდება ფეოდალიზმის რღვევის ნიშნები.

Резюме

В XVIII веке в западной Грузии, несмотря на тяжелую внешнеполитическую обстановку, экономическая жизнь и рыночные связи продолжали существовать.

Одним из основным путей добывания средств существования и денег являлась торговля пленными.

Левван II Дадиани искал пути для торговых связей с европейскими странами. Осуществление своего проекта он хотел с помощью итальянских миссионеров.

Во второй половине XVIII века в Западной Грузии наблюдается оживление рынка, товаро-денежных связей.

Среди состоятельных купцов и ростовщиков в Кутаиси выделяется Николоз Коркашвили, Торговые и ростовщические дела которого отличается от привычной деятельности феодалов.

Для изучения социально-экономического положения Грузии в XVIII веке важные сведения содержат „товарищеские" книги.

Торговое „товарищество" раннефеодального периода Грузии представляет собой корпорацию, имеющую определенный юридический статус.

Во второй половоне XVIII века слово „товарищество", означающее равенство, теряет свой смысл. Торговыми делами правит лицо. которое вкладывает в дело основную сумму (капитал).

Собственно торговую операцию проводит мелкий купец. Имущественная дифференциация среди купцов подготовила основу для социальных изменений.

Собранный и изученный материал дает возможность предположить, что во второй половине XVIII в Западной Грузии наблюдается процесс разрушения норм феодальных отношений.

წყაროები და ლიტერატურა

1. აბესაძე ნ. 1975 – ნ. აბესაძე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის სერია, № 1, 1975
2. აკოფაშვილი გ. 1966 – გ. აკოფაშვილი, მარეარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. II ნახ. XIX ს. დამდეგი), კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966
3. აკოფაშვილი გ. 1964 – გ. აკოფაშვილი, ფეოდალი საბატონო გადასახადები XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1964
4. ანთელავა ილ. 1990 – ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ. 1990
5. ანთელავა ირ. 1978 – ირ. ანთელავა, დაქვეითების პროცესის მასშტაბის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 1978
6. ანთელავა ირ. 1978 – ირ. ანთელავა, ერთხელ კიდევ XVIII ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 1978
7. ანთელავა ირ. 1977 – ირ. ანთელავა, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვანვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ. 1977
8. ბაგრატიონი დ. 1959 – დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, თბ., 1959
9. ბერაძე თ. 1981 – თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981
10. ბერაძე თ. 1985 – საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის სერია, №2, 1985
11. ბერძენიშვილი ნ. 1926 – ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, „ბიბლიოთეკა", №1, თბ., 1926
12. ბერძენიშვილი ნ. 1953 – ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I-II, 1940, 1953
13. ბერძენიშვილი ნ. 1938 – ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, I - II, 1938, 1953
14. ბერძენიშვილი ნ. 1937 – ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.VI, ტფ., 1937
15. ბერძენიშვილი ნ. 1971 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971

16. ბურჯანაძე შ. 1960 – შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორია (1784-89). ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960
17. ბურჯანაძე შ. 1961 – შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფო (1784-89), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961
18. ბურჯანაძე შ. 1962 – შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორია (1789-1802), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962
19. ბურჯანაძე შ. 1953 – შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, წ. II, 1953
20. ბურჯანაძე შ. 1967 – შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ II დროს, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №№ 3, 4, 1967
21. ბურჯანაძე შ. 1958 – შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770), წ. I, თბ., 1958
22. გაბაშვილი ვ. 1968 – ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის დოკუმენტური წყაროები, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968
23. გაბაშვილი ვ. 1966 – ვ. გაბაშვილი, XVI-XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე. კრ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966
24. გაბაშვილი ვ. 1958 – ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958
25. გვასალია ვ. 1987 – საქართველოს ტერიტორია XVII ს. თურქეთის იმპერიის ევროპულ რუკებზე, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1987
26. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 1962, II, 1964
27. გოგიჩაიშვილი ფ. 1974 – ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1974
28. გოგოლაძე დ. 1961 – დ. გოგოლაძე, კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში, მოამბე, № 3, 1961
29. გოგოლაძე დ. 1966 – დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966
30. გოგოლაძე დ. 1978 – დ. გოგოლაძე, XVIII ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკითხისათვის (სოფელი),

მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № I, 1978
31. გონიკაშვილი მ. 1979 – მ. გონიკაშვილი, იმერეთის სოფელი XVIII-XIX სს. მიწათმოქმედება, თბ., 1979
32. გუგუშვილი ა. 1941 – ა. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941
33. გუგუშვილი ა. 1938 – ა. გუგუშვილი, ტფილისი ეკონომიკა საქართველოში, მნათობი, № II, 1938
34. გუჩუა ვ. 1968 – ვ. გუჩუა, საქართველოს XVI-XVIII სს. ეკონომიკური ისტორიის შესწავლა, კრ. ქართული ისტორიოგრაფია, თბ., 1968
35. დოლიძე ი. 1963-1985 – ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., I -VIII, 1963-1985
36. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, თბ., 1962
37. დუმბაძე მ. 1957 – მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, თბ., 1957
38. დუმბაძე მ. 1966 – მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის საქართველოში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966
39. ებრაელთა მუზეუმის შრომები, I, 1940
40. ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თფ. 1904
41. ვახუშტი ბატონიშვილი, იმერეთის ისტორია, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თფ., 1902
42. ვაჭრიძე ა. 1977 – ა. ვაჭრიძე, ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977
43. თაყაიშვილი ე. 1899, 1909, 1910 – ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, ტფ. 1899; II, ტფ. 1909; III, ტფ. 1910
44. ივლიეისა და ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მეხსოვრული აღწერილობა, თარგმანი ი. ცინცაძისა, თბ., 1970
45. კაკაბაძე ს. 1921 – ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I - II, 1921
46. კაკაბაძე ს. 1925 – ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფო მდგომარეობის შესახებ XIX ს., საისტორიო მოამბე, წ. I, 1925
47. კაკაბაძე ს. 1928-29 – ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, I-IV, 1928-1929
48. კაკაბაძე ს. 1924 – ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ XVIII ს., მნათობი, № 3, 1924
49. კაკაბაძე ს. 1941 – ს. კაკაბაძე, საფრანგეთის საგარეო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს., ქუთაისის პედინსტ. შრ., I, 1941

50. კაშია რ. 1990 – რ. კაშია, საეკლესიო „ამხანაგობები" XVIII ს. საქართველოში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბ., 1990
51. კაციტაძე დ. 1973 – დ. კაციტაძე, თურქეთ-საქართველოს საეკლესიო ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIII სს. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, № 2, 1973
52. კაციტაძე დ. 1982 – დ. კაციტაძე, რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ეკონომიკური ურთიერთობები, XVIII ს. II ნახევარი, ისტორია, გეოგრაფია სკოლაში, № 4, 1982
53. კაციტაძე დ. 1972 – დ. კაციტაძე, XVII-XVIII სს. ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობების შესახებ, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972
54. კვესელია კ. 1972 – კ. კვესელია, იმერეთის სამეფოში არსებული „ფიქისკათა" ინსტიტუტის შესახებ, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, თბ., 1972
55. კილასონია ა. 1982 – ა. კილასონია, ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, თბ., 1982
56. კუკია კ. 1984 – კ. კუკია, ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984
57. ლაბბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, ტფ., 1937
58. ლომსაძე შ. 1979 – შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979
59. ლომსაძე შ. 1975 – შ. ლომსაძე, ჯავახეთი, 1975
60. ლორთქიფანიძე ი. 1940 – ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XVIII ს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1940
61. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მსოფლიოს წიგნები), თბ., 1974
62. მეგრელაძე დ. 1963 – დ. მეგრელაძე, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან (ჯულაბაშვილების დავთარი), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, წ. 35, 1963
63. მეგრელაძე დ. 1964 – დ. მეგრელაძე, რკინის ადგილობრივი წარმოებისა და მისი შემოსავლის შესახებ XVIII ს. საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1964

64. მესხია შ. 1958 – შ. მესხია, თბილისი ისტორია, თბ, 1958
65. მესხია შ. 1983 – შ. მესხი , სისტორიო ძიებანი, ტ.II, 1983
66. მესხია შ. 1950 – შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, III, 1950
67. მეუნარგია ი. 1939 – ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთაურის უკანასკნელი პერიოდი, 1939
68. ორჯონიკიძე ე. 1974 – ე. ორჯონიკიძე, ეკონომია და ეკონომია ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ, 1974
69. ორჯონიკიძე მ. 1979 – მ. ორჯონიკიძე XIX საუკუნის ბურჟუაზიული ურთიერთობათა ევოლუცია, თბ, 1979
70. პაიჭაძე გ. 1977 – გ. პაიჭაძე, რეცენზია ირ. ანთელავას ნაშრომზე XVIII საუკ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 1977
71. ურბანია თ. 1897 – თ. ურბანია, ქრონიკები, I-II,1897, ტ. III, გამოსცა გ. ურბანიამ 1968 წელს
72. რეხვიაშვილი მ. 1989 – მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ, 1989
73. რეხვიაშვილი მ. 1992 – მ. რეხვიაშვილი, იმერთა მეფენი – სოლომონ I და სოლომონ II, ქუთ, 1992
74. რეხვიაშვილი ნ. 1953 – ნ. რეხვიაშვილი, მეჯდლობა რაჭაში, თბ, 1953
75. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII), თბ, 1982
76. სანაძე მ. 1979 – მ. სანაძე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII სს., 1979
77. სანაძე მ., კაშია რ. 1989 – მ. სანაძე, რ. კაშია, ეკონომია და ეკონომია ფენა XVIII ს. თბილისში (ქალაქის დუქნები), მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, თბ. 1989
78. სანაძე მ., კაშია რ. 1992 – მ. სანაძე, რ. კაშია, ფეოდალური არისტოკრატია და პირველი კაპიტალის დაგროვების პროცესი XVIII ს. საქართველოში, მაცნე, ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, I, 1992
79. სამსონაძე მ. 1972 – მ. სამსონაძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორია XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № I, 1972
80. სამსონაძე მ. 1980 – მ. სამსონაძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს. I მესამედის საქართველოში, თბ, 1980

81. საქართველოს ეკონომიკა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I-III, 1940
82. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ, 1973
83. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ, 1980
84. სალინაძე რ. 1979 – რ. სალინაძე, თურქული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია XVI-XVIII სს. ქართული დოკუმენტურ წყაროებში, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, II, 1979
85. სვანაძე მ. 1971 – მ. სვანაძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს), თბ, 1971
86. სოსელია ო. 1960 – ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII-XIX 40-იან წლებამდე), თბ, 1960
87. სოსელია ო. 1973 – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ, 1973სოსელია ო. 1981 – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ, 1981
88. სოსელია ო. 1966 – ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ, 1966
89. ტავერნიე ჟ. 1974 – ჟან ბაპტისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეკო კარის ახალი აღწერა, თბ, 1974
90. უჩანეიშვილი დ. 1967 – დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკის ისტორიისათვის, თბ, 1967
91. უჩანეიშვილი დ. 1937 _ Д. Учанеишвили, Экономическое состояние Восточной Грузии во второй половине XVII века; К вопросу об экономическом развитии Грузии во второй половине XVIII века, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ, V, 1937
92. ქიქოძე მ. 1965 – მ. ქიქოძე, ვაჭრობა XVIII ს. I მეოთხედის ქართლში, მაცნე, № I, 1965
93. ქოიავა ნ. 1954 – ნ. ქოიავა, ფინანსები ქართლ-კახეთში XVIII ს. (1762-81), ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VIII, 1954
94. ქრონიკები, III, მ. ყორდანიას გამოცემა, 1967
95. შარაშიძე ქ. 1937 – ქ. შარაშიძე, იმერეთის სტამბები, საეკლესიო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937
96. შარდენი ჟან, 1935 – ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი ბარნოვისა, 1935

97. შენგელია ნ. 1974 – ნ. შენგელია, ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII ს. I ნახ. (საკანდიდატო დისერტაცია), 1974
98. შენგელია ნ. 1974 – ნ. შენგელია, XV-XIX სს. საქართველოს ისტ. ორიის ოსმალური წყაროები თბ, 1974
99. ჩანტლაძე ვ. 1959 – ვ. ჩანტლაძე, სულხან-საბას ეკონომიკური შეხედულებანი, თბ, 1959
100. ჩანტლაძე ვ. 1983 – ვ. ჩანტლაძე, XVII-XVIII სს. ქართული ფეოდალის ერთეულის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1983
101. ჩელები ევლია, 1971 – ევლია ჩელები, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი ვ. ფეთურიძის, 1971
102. ჩხარტიშვილი ქ. 1964 – ქ. ჩხარტიშვილი, გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1964
103. ჩხარტიშვილი ქ. 1985 – ქ. ჩხარტიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ, 1985
104. ჩხარტიშვილი ქ. 1971 – ქ. ჩხარტიშვილი, ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4 1971
105. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.16, აღწ. I, საქმე 1604, ფ. 254, აღწ. I, ს.121, 131
106. ჭიჭინაძე ზ. 1904 – ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ ებრაელნი საქართველოში, ტფ, 1904
107. ჭიჭინაძე ზ. 1905 – ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ კათოლიკეთ ვაჭრობა, ტფ, 1905
108. ხახანაშვილი ა. 1981 – ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთ. 1981
109. ხახანაშვილი ა. 1910 – ა. ხახანაშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ II, თფ, 1910
110. ხუსკივაძე ლ. 1974 – ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ, 1974
111. ჯაფარიშვილი ივ. 1974 – ივ. ჯაფარიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, II, თბ, 1974
112. ჯაველიძე ნ. 1989 – ნ. ჯაველიძე, ოსმალეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, XVIII ს. I ნახ., მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4 1989
113. ჯუღიჩე ჯუზეპე მილანელი, 1964 – ჯუღიჩე ჯუზეპე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ, 1964
114. Акты, 1899-1904 - Акты собранные Кавказской археологической комиссией. т. 1899-1904

115. Бурнашев,1894. - Бурнашевб Картина Грузии, т. 1894
116. Гамрекели Г. - 1968. В. Гамрекели, Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом, Т, 1968
117. Гамрекели Г. 1980 - В. Гамрекели, Межкавказские политические и т рговые связи Восточной Грузии Т., 1980
118. Гамрекели В. 1966-1977 - В. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом. I-1966. II – 1977
119. Картина Кавказского края П. Зубова. Ч. 3-4, Спб, 1838
120. Махарадзе Н. 1942 - Н. Махарадзе, Восстание в Имеретии, 1819-20гг., 1942
121. Месхия Ш. 1959 - Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Еб., 1959
122. ННатадзеатГ. 1930 - Г. Натадзе, К вопросу об экономическом положениюлв конце XVIII века. История классовой борьбы в Закавказье, Т.,1930
123. Рогава А. 1974. Зачатки капитализма и политика Ираклия II, Т., 1974
124. Пурцеладзе Д. 1881 - Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты. Т., 1882
125. Цагарели А. 1891 - А. Цагарели, Грамоты и другие документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т., 11. Спб., 1891

შემოკლებათა განმარტება

ცსსა – ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ხელ. ინს – კ კაკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქმ – ქუთაისის ისტორიული მუზეუმი

შინაარსი

1. შესავალი 3
2. ფულად-სასაქონლო ურთიერთობები XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში. 7
   ა) ტყვეთა სყიდვა 7
   ბ) ლეკან დადიანის სავაჭრო პროექტი. 10
3. ვაჭართა ფენა XVII-XVIII სს. დასავ. საქართველოში . . . 14
4. სავაჭრო ცენტრები XVII–XVIII სს დასავლეთ საქართველოში. 27
   ა) ვაჭრობის ადგილები XVII ს. 27
   ბ) სავაჭრო ცენტრები XVIII ს. 30
5. საბაჟოები. 34
6. საბაზრო კავშირები და სავაჭრო საქონელი 39
   ა) ბაზარი და სავაჭრო საქონელი XVII ს. 39
   ბ) ბაზარი და სავაჭრო საქონელი XVIIIს 41
სავაჭრო ამხანაგობები XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში. 53
7. მეკახშეობა. . . . 61
8. სავაჭრო გადასახადები. 69
9. დასავლეთ საქართველოს საგარეო სავაჭრო კონტაქტები XVII–XVIII სს. 73
10. სავაჭრო ტერმინები. 81
   დასკვნა. 85
   Резюме. 86
   გამოყენებული ლიტერატურა 87
   შემოკლებანი 94

კორექტორი: ლილი ლომთაძე

წიგნი დაიბეჭდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ნაბეჭდი ფორმა 5
ქაღალდის ზომა 64X84. 1/16

გადაეცა წარმოებას 7.10.2005 წ.
ტირაჟი 100